MES 3 21 0000584215

17/06/2021

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2021 წლის 10 ივნისს.**

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ

Join Zoom Meeting:
https://us02web.zoom.us/j/2234959888

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი, საბჭოს თავმჯდომარე;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში - ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქრისტინა რზგოევა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე, საბჭოს წევრი
მაგდა ბოლოთაშვილი - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე, საბჭოს მდივანი;
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი, საბჭოს წევრი;
სერგო ნოზაძე - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის პრეზიდენტი / საბჭოს წევრი;
დეა აბულაძე - სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა“ - პროგრამული განვითარების კოორდინატორი /საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)

წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ელისო ბარბაქაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - კოლეჯი „ბლექსი“:
გიორგი გოგიტიძე - დირექტორი;
მაია თოიძე - დირექტორის მოადგილე;
ბიძინა კირთაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი.

სსიპ - კოლეჯი „ფაზისი“:
ნინო ბაკურაძე - დირექტორი;
ეკატერინე ფოჩხუა - ხარისხის მართვის მენეჯერი.

სსიპ - კოლეჯი „აისი“:
დავით პაპაშვილი - დირექტორის მოადგილე;
ლელა ბერიაშვილი -ხარისხის მართვის მენეჯერი;
გვანცა პაკატილოვი - იურისტი.

შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი "გეორგია":
გიორგი ბერაია - დირექტორი
თეა მელაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

სსიპ - კოლეჯი „ერქვანი“
ფრიდონ ბუაძე - დირექტორი
დარეჯან ჭელიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

პროფესიული განათლების ავტორიზაციის ექსპერტები:

დიანა გახარია,
ალინა კუპრავა,
ვანო ოთოზორია
ნატა ჩხაიძე,
ნინო ხაჩიძე,
ია გელენიძე,
ქეთევან ბოტკოველი,
თამარ ახალაძე,
ირაკლი სალუქვაძე,
დავით გუდაძე,

ნანა შათირიშვილი,
ნატალია დარჩინიანი,
ლევან მადათოვი,
ქეთევან გელაშვილი,
ქეთევან ღვანიძე,
ზაირა ბერიძე,
ეკატერინე ნანობაშვილი,
გენადი კვერენჩხილაძე,
თამარ ზარანდია,
თამარ ნასყიდაშვილი,
ნიკოლოზ კიკნაველიძე,
ტიტე ბოლქვაძე,
გივი დოლიძე.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 13:14 საათი.

ქალბატონი ნანა ყუფუნია მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. აღნიშნა, რომ კვორუმი არის და საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგიასთვის“ „საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ (გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. კაჭრეთი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
3. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „მებაღეობის“ (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი შრომა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
4. სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ „ფარმაციის“ (გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. კაჭრეთი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ „საექთნო საქმის“ (ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვ. ალვანი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

6. სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ „საექთნო საქმის“ (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. სამრეკლო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ „საექთნო საქმის“ (გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. კაჭრეთი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ - კოლეჯ „ბლექსის“ „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
9. სსიპ - კოლეჯ „ფაზისისთვის“ „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
10. სსიპ - კოლეჯ „ფაზისისთვის“ „ფლორისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
11. სსიპ - კოლეჯ „ფაზისისთვის“ „მებაღეობის“ (ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნოჯიხევი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
12. სსიპ - კოლეჯ „ფაზისისთვის“ „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
13. სსიპ - კოლეჯ „ფაზისის“ „თმის მომსახურების“ (ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნოჯიხევი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
14. სსიპ - კოლეჯ „ფაზისის“ „ელექტროობის“ (ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნოჯიხევი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
15. სსიპ კოლეჯ „ფაზისისთვის“ „სარესტორნო მომსახურების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
16. სსიპ კოლეჯ „ფაზისისთვის“ „თევზის გადამუშავების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
17. სსიპ კოლეჯ „ფაზისისთვის“ „ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
18. სსიპ კოლეჯ „ფაზისისთვის“ „ფერმერი მემცენარის“ (ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნოჯიხევი) საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
19. სსიპ - კოლეჯ „ფაზისის“ „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
20. სსიპ - კოლეჯ „ფაზისისთვის“ „აგრომექანიზაციის“ (ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნოჯიხევი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
21. სსიპ - კოლეჯ „ერქვანისთვის“ „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

22. სსიპ - კოლეჯ „ერქვანისთვის“ „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ქალბატონ ნანი დალაქიშვილს, ხომ არ ჰქონდა ცენტრს შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ დღის წესრიგის მიხედვით პირველი საკითხი არის შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგიასთვის“ „საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, ექსპერტმა დიანა გახარიამ, მიმართა ცენტრს შუამდგომლობით ეს საკითხი განხილულიყო სსიპ - კოლეჯი „ერქვანის“ საკითხების განხილვის შემდეგ, რადგანაც ექსპერტი იმყოფებოდა ტრენინგზე, როგორც ტრენერი, ასევე, დღის წესრიგის მიხედვით მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე საკითხები არის სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა სამ სხვადასხვა ლოკაციაზე, დარგის ექსპერტმა, ია გელენიძემ, მიმართა ცენტრს შუამდგომლობით ეს საკითხები განხილულიყო ბოლო საკითხებად, რადგან, ექსპერტი იმყოფებოდა შეხვედრაზე ჯანდაცვის სამინისტროში.

საერთო შეთანხმებით, საბჭომ დაამტკიცა **შეცვლილი დღის წესრიგი**:

1. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ (გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. კაჭრეთი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
2. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „მებაღეობის“ (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი შრომა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
3. სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ „ფარმაციის“ (გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. კაჭრეთი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - კოლეჯ „ბლექსის“ „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - კოლეჯ „ფაზისისთვის“ „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - კოლეჯ „ფაზისისთვის“ „ფლორისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ - კოლეჯ „ფაზისისთვის“ „მებაღეობის“ (ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნოჯიხევი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
8. სსიპ - კოლეჯ „ფაზისისთვის“ „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
9. სსიპ - კოლეჯ „ფაზისის“ „თმის მომსახურების“ (ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნოჯიხევი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
10. სსიპ - კოლეჯ „ფაზისის“ „ელექტროობის“ (ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნოჯიხევი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
11. სსიპ კოლეჯ „ფაზისისთვის“ „სარესტორნო მომსახურების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
12. სსიპ კოლეჯ „ფაზისისთვის“ „თევზის გადამუშავების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
13. სსიპ კოლეჯ „ფაზისისთვის“ „ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
14. სსიპ კოლეჯ „ფაზისისთვის“ „ფერმერი მემცენარის“ (ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნოჯიხევი) საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
15. სსიპ - კოლეჯ „ფაზისის“ „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
16. სსიპ - კოლეჯ „ფაზისისთვის“ „აგრომექანიზაციის“ (ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნოჯიხევი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
17. სსიპ - კოლეჯ „ერქვანისთვის“ „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
18. სსიპ - კოლეჯ „ერქვანისთვის“ „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
19. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგიასთვის“ „საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
20. სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ „საექთნო საქმის“ (ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვ. ალვანი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
21. სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ „საექთნო საქმის“ (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. სამრეკლო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
22. სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ „საექთნო საქმის“ (გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. კაჭრეთი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

1. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ (გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. კაჭრეთი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

სსიპ - კოლეჯს „აისი“ საჯარო განხილვაზე წარმოადგენდა დავით პაპაშვილი - დირექტორის მოადგილე, ლელა ბერიაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი და გვანცა პაკატილოვი - იურისტი.
აღნიშნული უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა 2021 წლის 3 ივნისის №519711 წერილით.
სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა

დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები წარმოადგინეს ქალბატონმა ალინა კუპრავამ და ბატონმა ვანო ოთხოზორიამ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ალინა კუპრავამ აღნიშნა, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 22 მარტის N267825 ბრძანების საფუძველზე სსიპ კოლეჯ "აისში" პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროგრამის დამატების მიზნით ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შედგა გასაუბრების განრიგი.
განრიგის შესაბამისად 2021 წლის 15 აპრილს განხორციელდა შემდეგი აქტივობები: ადმინისტრაციასთან გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; საგანმანთლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)თან გასაუბრება; სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)თან გასაუბრება; საგანამანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება; პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; ბიბლიოთეკის და საგანამანათლებლო რესურსის შემოწმება, პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; დაწესებულებიდან გამოთხოვილ იქნა დამატებითი დოკუმენტაციები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.
დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე სურს 30 პროფესიული სტუდენტის მიღება და აქედან ოცდაათივე იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს. პროგრამის განხორციელება იგეგმება მოდულური მიდგომით.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა წინა ვიზიტის ფარგლებში დაფიქსირებულ რეკომენდაციების შესრულებაზე, რაც გადამოწმდა მათი მხრიდან. თუმცა ყურადღება გაამახვილა, ერთ-ერთ რეკომენდაციაზე:
2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში მითითებულია ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N120/ნ ბრძანებით, უნდა გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და შეიცვალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ. დაწესებულების განმარტებით, არსებული ტექნიკური ხარვეზი გასწორებულია, თუმცა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ ორ ადგილას ვხვდებით 120/ნ ბრძანებასთან დაკავშირებით ჩანაწერებს. მაგალითად, ერთი ასეთი ჩანაწერია მარეგულირებელში: „კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად გადავიდეს ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით გათვალისწინებულ იმ პროფესიულ სპეციალიზაციაზე სწავლის გაგრძელების მიზნით, რომელზეც ჩაირიცხა და სწავლობდა იგი მობილობის

განხორციელებამდე;“ - დაწესებულების საქმიანობა უნდა დაეყრდნოს მოქმედ კანონმდებლობას. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოადგინა შემდეგი სახის რეკომენდაცია: რეკომედირებულია, კოლეჯმა შეიმუშაოს მექანიზმები საკანონმდებლო ცვლილებებთან დაწესებულების შიდა აქტების და პროცესების შესაბამისობის დროული უზრუნველყოფისათვის.

ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ არ დაფიქსირებულა ხარვეზები, თუმცა დაფიქსირდა **სტ ანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია:**

2.2.1. 1.ონლაინ ჩართვისას და სასწავლო A/B გარემოს დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ გარკვეული პროგრამის სპეციკიკური აღჭურვილობის ნაწილი დასახელება არ იყო ადგილზე დაწესებულების პასუხისმგებელ პირთა განმარტებით, უკვე გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე უახლოეს პერიოდში მოხდებოდა სასწავლო გარემოს საბოლოო კომპლექტაცია. ამ ფაქტიდან გამომდინარე გამოთხოვილ იქნა დამატებით: შესყიდვის ხელშეკრულება და დირექტორის 2021 წლის 02 მარტის N 02-01-45 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა. გეგმის და „ხელშეკრულება N50-ვ , სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (გამარტივებული შესყიდვა)“, მოცემული ხელშეკრულების მიხედვით: „პუნქტი 4.2 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 30 აპრილის ჩათვლით“.

ქალბატონმ ალინა კუპრავამ ასევე ისაუბრა განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამებაზე:

2.1.1.

8. დამტკიცებული პროგრამის ადაპტირებულ მოდულებში არ არის ჩანაწერები განხორციელების მიდგომებთან დაკავშირებით, შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდირებულია მოდულებში განხორციელების მიდგომები იყოს დეტალიზებული, მათ შორის ჩაიწეროს შეფასების განხორციელების მიდგომები, სახელდობრ ერთიანად ხდება შეფასება თუ ცალკეული სწავლის შედეგების მიხედვით. დაზუსტდეს და დეტალიზებული სახით წარმოდგენილ იყოს პრაქტიკული პროექტის მოდულის განხორციელების მიდგომები.

2.2.1

1. დაწესებულებას ეძლევა შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდაცია მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ დაწყებამდე უზრუნველყოს C გარემოში წყლის და ჰაერის გამწოვი სისტემის (მაგ., გამწოვი კარადა) დამონტაჟება.

2. შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდებულია დაწესებულებამ იზრუნოს პროფესიული მასწავლებლების მიღება/გადამზადებაზე, რომლებიც ჩაერთვებიან ძირითადი და საერთო პროფესიული მოდულების სწავლებაში

4. დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციით არ იკვეთება, თუ როგორ ხდება პროგრამის ხელმძღვანელის ან შერჩევა, ან დამტკიცება. შესაბამისად, შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდებულია გაიწეროს აღნიშნული შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტში.

2.4.1.

4. შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდებულია რეგულაციით იკვეთებოდეს, სსსმ პროფესიული სტუდენტების შემთხვევის გარდა, თუ ვინ არის პასუხისმგებელი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაზე(მაგ. მობილობის, სტატუსის აღდგების დროს და ა.შ).

5. შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდირებულია, გაცნობითი პრაქტიკის მოდულის განხორციელებისას კომპანიის სამუშაო სივრცეში დაგეგმილი შემეცნებითი ექსკურსიების შესახებ ინფორმაცია, აისახოს რომელიმე დამტკიცებულ/ხელმოწერილ დოკუმენტში. შემდგომი განვითარების მიზნით პრაქტიკული პროექტის მე-2 სწავლის შედეგი „პროფესიული ამოცანის დამოუკიდებლად შესრულება“ დაიგეგმოს პრაქტიკის ობიექტზე და ამისთვის გაფორმდეს პარტნიორობის მემურანდუმი ან დეტალიზებულ იქნას განხორციელების მიდგომები, მათ შორის თემატიკასთან სრულად შესაბამისი პრაქტიკული განსახორციელებელი ამოცანების იდენტიფიცირებით და აისახოს რომელიმე დამტკიცებულ/ხელმოწერილ დოკუმენტში.

ქალბატონმა ალინამ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ აღნიშნული პროგრამის დამატების განაცხადში არსებული მატერიალური რესურსების ჩამონათვალი სრულად იყო წარმოდგენილი და დაწესებულებას ამ კომპონენტში მონიშნული ქონდა სტანდარტის შეფასება „სრულ შესაბამისობად“. დაწესებულებას გამოყოფილი აქვს AB და ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ განხორციელებისათვის C გარემო შესაბამისი აღჭურვილობით, 15 პროფესილ სტუდენტზეა გათვლილი (სულ ორ ცვლაში 30 აქედან, 30 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებულზე); ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა მატერიალური რესურსების საკმარისობა მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობასთან შესაბამისობად; ონლაინ ჩართვისას და სასწავლო A/B გარემოს დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ გარკვეული პროგრამის სპეციკიკური აღჭურვილობის ნაწილი დასახელება არ იყო ადგილზე დაწესებულების პასუხისმგებელ პირთა განმარტებით, უკვე გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე უახლოეს პერიოდში მოხდებოდა სასწავლო გარემოს საბოლოო კომპლექტაცია. ამ ფაქტიდან გამომდინარე გამოთხოვილ იქნა დამატებით: შესყიდვის ხელშეკრულება და დირექტორის 2021 წლის 02 მარტის N 02-01-45 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა. გეგმის და „ხელშეკრულება N50-ვ , სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (გამარტივებული შესყიდვა)“, მოცემული ხელშეკრულების მიხედვით: „პუნქტი 4.2 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 30 აპრილის ჩათვლით“. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვების დასრულების შემდგომ, დაწესებულების მფლობელობაში იქნება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ რესურის შესაბამისი აღჭურვილობა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წერილთან ერთად გამოაგზავნა რესურსების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ფოტო მასალა. ექსპერტები გაეცნენ და ადასტურებენ, რომ რა რესურსებიც აკლდათ, უკვე აქვთ ადგილზე. თუმცა, რადგან ეს აღჭურვილობა შეძენილი იყო ვიზიტის შემდეგ, დასკვანაში ვერ იქნა დაფიქსირებული.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს „სქაინეტ დისტრიბუშენთან“ გაცნობითი პრაქტიკის მოდულის ფარგლებში სასწავლო ექსკურსიების განხორციელების მიზნით, პროგრამით არ არის გათვალისწინებული პრაქტიკის ობიექტებზე სხვა კომპონენტის სწავლება.

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წერილთან ერთად გამოაგზავნა მარეგულირებელი წესი 2.4.1. 2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სადაც საუბარია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაზე.

დარგობრივ ჭრილში კომენტარი გააკეთა დარგის ექსპერტმა, ბატონმა ვანო ოთხოზორიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ 16 ძირითადი დარგობრივი მოდულის განმახორციელებლად შერჩეულია 3 პროფესიული მასწავლებელი, აქედან 12 მოდულის განმახორციელებლად მოიაზრება 1 პროფესიული მასწავლებელი, რომელიც ამავდროულად არის პროგრამის ხელმძღვანელი, 1 პროფესიული მასწავლებელი გათვალისწინებულია 3 მოდულის სწავლებისთვის და ერთიც დარგობრივი ინგლისურის. მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ არის 40 საათზე მეტი. პროფესიული მასწავლებლების კომპეტენციაში და პროფესიონალიზმში ექსპერტს ეჭვი არ ეპრება, თუმცა შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდებულია დაწესებულებამ იზრუნოს პროფესიული მასწავლებლების მიღება/გადამზადებაზე, რომლებიც ჩაერთვებიან ძირითადი და საერთო პროფესიული მოდულების სწავლებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა პროგრამის განხორციელების მდგრადობის პრობლემა ხომ არ იკვეთებოდა, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ მდგრადობის პრობლემა არ იყო.

დარგის ექსპერტმა ასევე, ისაუბრა „გაცნობითი პრაქტიკა“ და „პრაქტიკული პროექტი“ მოდულების პრაქტიკის ობიექტზე განხორციელებასთან დაკავშირებით, რასაც ეხებოდა მათი

ერთ-ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დამატებით გამოგზავნილ დოკუმენტაციასთან ერთად მოწოდებულ იქნა გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი „შპს სქაინეთ დისტრიბიუშენ“-თან, სადაც პროფესიულ სტუდენტებს ექნებათ სასწავლო ექსკურსიის განხორციელების შესაძლებლობა. ამავდროულად დაწესებულებამ წარმოადგინა პრაქტიკული დავალების კოლეჯის ბაზაზე განხორციელებისას სტუდენტების მიერ შესასრულებელი დავალების თემატიკა - „მცირე ოფისისთვის (Small Office/Home Office) კომპიუტერული ტექნიკის შერჩევა, ოპერაციული სისტემების ინსტალაცია და ქსელის გამართვა“.

ბატონმა, ვანო ოთხოზორიამ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას კარგად ესმის განმავითარებელი რეკომენდაციების მნიშვნელობა და იზიარებს მას.

კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვიზიტი იყო კოლეგიალური, განვითარებაზე ორიენტირებული, ისაუბრა შესაბამისობის გეგმაზე და აღნიშნა, რომ შესაბამისი აღჭურვილობა უკვე შესყიდულია და ადგილზეა კოლეჯის ბაზაზე, რაც შეეხება განმავითარებელ რეკომენდაციებს, კოლეჯი მყისიერად ახდენს რეაგირებას და ადამიანურ რესურსთან მიმართებაში კოლეჯს უკვე დაწყებული აქვს მუშაობა. კოლეჯს რეკომენდციების უმეტებობა უკვე შესრულებული აქვს და მიმდინარეობს მუშაობა რეკომენდაციების სრულყოფილად შესრულებაზე.

ქალბატონი შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა ინტეგრირებასთან დაკავშირებით, რადგან კოლეჯი ახორციელებს სხვა ინტეგრირებულ პროგრამებს, როგორი იქნება ლაბორატორიის დატვირთვა, რამე საფრთხეს ხომ არ შეუქმნის პროგრამის განხორციელებას, რაზეც თავმჯდომარემ უპასუხა, რომ კოლეჯთან ინტერვიურების დროს გაიარეს მოცემული საკითხი და ლაბორატორიის დატვირთვა პრობლემას არ შეუქმნის გამტარუნარიანობას. რადგანაც პროგრამა არის 3 წლიანი, კვირეული დატვირთვა ერთი ჯგუფისთვის არის მხოლოდ 5 საათი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ (გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. კაჭრეთი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.
საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამის პარამეტრები და აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევა 2021 წლის 10 ივნისიდან.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება:
სსიპ - კოლეჯ „აისს“ მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ (გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. კაჭრეთი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი 1)**.

2. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „მებაღეობის“ (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი შრომა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.
საბჭოს წინაშე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი წარმოადგინეს ქალბატონმა ალინა კუპრავამ და ქალბატონა თამარ ახალაძემ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ცენტრის დირექტორის 24 მარტის N279149 ბრძანების საფუძველზე სსიპ კოლეჯ "აისში" პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „მებაღეობა“ პროგრამის დამატების მიზნით ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით .
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შედგა გასაუბრების განრიგი.
განრიგის შესაბამისად 2021 წლის 15 აპრილს განხორციელდა შემდეგი აქტივობები: ადმინისტრაციასთან გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; საგანმანთლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)თან გასაუბრება; სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)თან გასაუბრება; საგანამანთლებლო პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება; პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; ბიბლიოთეკის და საგანამანათლებლო რესურსის შემოწმება, პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; დაწესებულებიდან გამოთხოვილ იქნა დამატებითი დოკუმენტაციები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას სურს დაიმატოს მეოთხე დონის მებაღეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე სურს 30 პროფესიული სტუდენტის მიღება და აქედან ოცდაათივე იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს. პროგრამის განხორციელება იგეგმება მოდულური მიდგომით.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა წინა ვიზიტის ფარგლებში დაფიქსირებულ რეკომენდაციების შესრულებაზე, რაც დეტალურად განხილულია წინა საკითხის დროს.
ქალბატონმა ალინა კუპრავამ კოლეჯის საუკეთესო გამოცდილებად დაასახელა ის ფაქტი, რომ კოლეჯს აქვს სასოფლო სამეურნეო პროფესიების სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება. სწავლებისათვის საუკეთესო გარემო, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი. რეალურ სამუშაო გარემოზე დაფუძვნებული (დიალური) სწავლების საკმაო გამოცდილება. კახეთის რეგიონში (და არამარტო) სოფლის მეურნეობის სფეროში კურსდამთავრებულთა მაღალი დასაქმების მაჩვენეველი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხარვეზები არ დაფიქსირებულა. გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები:
2.2.1.

1. მართალია კოლეჯის ბაზა აბსოლიტურად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის მიღწევის შესაძლებლობას, თუმცა შემდგომი განვითარების მიზნით სასურველია თუნდაც გაცნობითი პრაქტიკის ფარგლებში დაწესებულებამ გააფორმოს თანამშრომლობის მემორანდუმები დარგობრივ ორგანიზაციებთან, რათა პროფესიულ სტუდენტებს ჰონდეთ საშუალება მსგავსი პროფილის ორგანიზაციებთან გამწვანების სამსახურებთან, სახელმწოფო თუ კერძო სანერგე მეურნეობებთან და ა.შ რეალურ სამუშაო გარემოში გაეცნონ დასაქმების შესაძლებლობებს და მოთხოვნებს.
2. შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდებულია დაწესებულებამ იზრუნოს პროფესიული მასწავლებლების მიღება/გადამზადებაზე, რომლებიც ჩაერთვებიან ძირითადი და საერთო პროფესიული მოდულების სწავლებაში
4. დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციით არ იკვეთება, თუ როგორ ხდება პროგრამის ხელმძღვანელის ან შერჩევა, ან დამტკიცება. შესაბამისად, შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდებულია გაიწეროს აღნიშნული შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტში.
2.4.1.
4. შემდგომი გაუმჯობესების მიზნით რეკომენდებულია რეგულაციით იკვეთებოდეს, სსსმ პროფესიული სტუდენტების შემთხვევის გარდა, თუ ვინ არის პასუხისმგებელი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაზე(მაგ. მობილობის, სტატუსის აღდგების დროს და ა.შ).
დაწესებულებას სრულად ჰქონდა პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი, რომელიც ექსპერტებმა დაათვალიერეს ონლაინ ჩართვის დროს. თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოადგინა გაფორმებული მემორანდუმი ერთ-ერთ ინდმეწარმესთან, სასწავლო ექსკურსიების განხორციელების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამა სტანდარტთან სრულ შესაბამისობაშია.
დარგის ექსპერტმა, ქალბატონმა თამარ ახალაძემ დაადასტურა დაწესებულების მზაობას მოცემული პროგრამის განსახორციელებლად. დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი და C გარემო, რაც გამოიკვეთა დისტანციური ვიზიტის დროს. მან, ასევე, აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ყავს დარკობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი
დაწესებულების წარმომადგენელმა, ბატონმა დავით პაპაშვილმა ისაუბრა განმავითარებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოცემული რეკომენდაციების ნაწილი უკვე შესრულებულია კოლეჯის მხრიდან და დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებითაც მიმდინარეობს მუშაობა.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მებაღეობის პროგრამა საკმაოდ აქტუალურია და დაწესებულებას აქვს პროგრამის განხორციელების დიდი ხნის გამოცდილება.
ქალბატონმა შორენა ჯაფარიძემ იკითხა ხომ არ ყავდა პროგრამას ერთი და იგივე განმახორციელებლები სოფელ კაჭრეთსა და სოფელ შრომაში, რაზეც ექსპერტმა და ასევე, დაწესებულებამ უპასუხა, რომ ერთი და იგივე პროფესიული მასწავლებლები არ იყვნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე და 62-ე მუხლების შესაბამისად.
საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამის პარამეტრები და აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევა 2021 წლის 10 ივნისიდან.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება:
სსიპ - კოლეჯ „აისს“ მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „მებაღეობის“(ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი შრომა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი 2).**

3. სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ „ფარმაციის“ (გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. კაჭრეთი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.
საბჭოს წინაშე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ექსპერტთა დასკვნა წარმოადგინეს ქალბატონმა ალინა კუპრავამ და ქალბატონა ნატა ჩხაიძემ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ალინა კუპრავამ, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის15-16 აპრილს, დისტანციური ჩართვის სახით. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოების ფარგლებში შეისწავლა როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ასევე ექსპერტებმა დამატებით გამოითხოვეს დოკუმენტები დაწესებულებისგან. ექსპერტთა ჯგუფი ჩართვის დროს გაესაუბრა, როგორც განმახორციელებელ პერსონალს, პროგრამის ხელმძღვანელს, კოლეჯის ადმინისტრაციასთან, ასევე იმ საწარმოების წარმომადგენლებთან, რომლებიც თანამშრომლობენ კოლეჯთან პროგრამის განხორციელების ფარგლებში.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას სურს დაიმატოს “ფარმაციის“ მეხუთე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე სურს 30 პროფესიული სტუდენტის მიღება. პროგრამის განხორციელება იგეგმება მოდულური მიდგომით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა გამოვლენილი **ხარვეზები:**
ქვესტანდარტი 2.1.1. (3)
პროგრამისთვის გამოყოფილი სასწავლო ფართი ვერ უზრუნველყოფს კოლეჯის მიერ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტთა რაოდენობის გამტარუნარიანობას. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, ზღვრული რაოდენობის დასაბუთებისას გაითვალისწინონ დაწესებულების გარემოს შესაძლებლობები და გამტარუნარიანობა.
ქვესტანდარტი 2.1.1. (4)
საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსი, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი ვერ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განხორციელებისათვის გათვალისწინებული რესურსი, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი მოიყვანოს შესაბამისობაში მოდულის სწავლის შედეგებთან.

გამოვლენილ ხარვეზზე ისაუბრა დარგის ექსპერტმა, ქალბატონმა ნატა ჩხაიძემ. ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების დამტკიცებული პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და ასევე, საგანმანათლებლო რესურსები, ანალიზით და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსი, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი სრულად ვერ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დეტალურად აღწერილია დასკვნაში. ქალბატონმა ნატა ჩხაიძემ აღნიშნა, რომ ამ საკითხთან მიმართებაში ისაუბრეს დაწესებულების წარმომადგენლებთან, რაზეც ეს უკანასკნელი დაეთანხმა და გამოთქვა მზაობა, რომ მოაწესრიგებდა საგანმანათლებლო რესურს.

ქვესტანდარტი 2.1.1. (8)

მოდული „სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“ (0911021) დამატებით ჩანაწერებში განხორციელებასთან დაკავშირებით მიდგომებში მითითებულია, რომ დაწესებულებას გეგმავს მოდული სრულად განახორციელოს კოლეჯში. დაწესებულებას არ აქვს გათვალისწინებული ჩარჩო-დოკუმენტის რეკომენდაცია საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე უნდა განხორციელდეს მოდულის არანაკლებ 1 კრედიტის შესაბამისი ნაწილისა. ექსპერტების აზრით, დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული მოდულის 4 და 5 სწავლის შედეგების სათანადო მიღწევას C გარემოში. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაცია, აღნიშნული მოდულის 4 და 5 სწავლის შედეგების განხორციელება მოახდინოს პრაქტიკის ობიექტზე , რომელთა გამხორციელების გამოცდილება და მზაობა აქვთ.

მოდულების ადაპტირებული სარეკომენდაციო ჩანაწერები რიგ შემთხვევებში არ შეესაბამება მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.კერძოდ:

1. მოდულის „ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები“ (0911025) 1 სწავლის შედეგის თემატიკაში მითითებულია ძალადაკარგული საკანონმდებლო აქტი - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებას N 282/ნ „აფთიაქების მოწყობისა და ექსპლუატაციის სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ“;

2. მოდულის „მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება“ (0911012) 1,3,4 სწავლის შედეგის თემატიკაში მითითებულია ძალადაკარგული საკანონმდებლო აქტი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა დასოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 4 თებერვალი ბრძანება N01-4ნ „ავტორიზებულ აფთიაქსა და აფთიაქში (სპეციალიზებულ სავაჭრო ობიექტში) ორიგინალური შეფუთვის დაშლისა და დაფასოების გზით, პაციენტის ინდივიდუალური საჭიროებისათვის შესაბამისი ოდენობით, ფარმაცევტული პროდუქტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.

3. მოდული „სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“ (0911021) დამატებით ჩანაწერებში განხორციელებასთან დაკავშირებით მიდგომებში მითითებულია, რომ დაწესებულებას გეგმავს მოდული სრულად განახორციელოს კოლეჯში. დაწესებულებას არ აქვს გათვალისწინებული ჩარჩო-დოკუმენტის რეკომენდაცია -ს აწარმოო პრაქტიკის ობიექტზე უნდა განხორციელდეს მოდულის არანაკლებ 1 კრედიტის შესაბამისი ნაწილისა. ექსპერტების აზრით, დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული მოდულის მე-4 და მე-5 სწავლის შედეგების სათანადო მიღწევას C გარემოში. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაცია, აღნიშნული მოდულის მე-4 და მე-5 სწავლის შედეგების განხორციელება მოახდინოს პრაქტიკის ობიექტზე - შპს „ავერსი-ფარმაში“, რომელთა გამხორციელების გამოცდილება და მზაობაც კომპანიას გააჩნია.

მოცემულ ხარვეზთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა დარგის ექსპერტმა და დაადასტურა, რომ დაწესებულების C გარემოში ვერ მოხდება აღნიშნული სწავლის შედეგების განხორციელება, თუმცა, დარგის ექსპერტის განმარტებით პრაქტიკის ობიექტზე შპს

„ავერსი-ფარმაში“ შესაძლებელია მოცემული სწავლის შედეგების განხორციელება, რადგან მათ აქვთ საკმაოდ დიდი გამოცდილება და მზაობაც, რაც კარგად გამოჩნდა მათთან ინტერვიურების დროს.

ქვესტანდარტი 2.2.1. (1)

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების მიღწევა უზრუნველყოფილი არ არის დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო მატერიალური რესურსით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია შეიძინოს და შესაბამისობაში მოიყანოს მატერიალური რესურსი მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობასთან.

მოცემულ ხარვეზთან დაკავშირებით ასევე გააკეთა განმარტება, სსიპ კოლეჯ „აისს“ ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი აქვს შემდეგი გარემოები: B სასწავლო გარემო(ინფორმაციული წიგნიერების მოდულისათვის) პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 15 და A/C გარემო, რომელიც არის ერთ სივცეში განთავსებული, ერთი შესასვლელი კარით, აღნიშნული სივრცე გაყოფილია ორ ნაწილად ნახევრად დახურული შიდა ტიხარით, A გარემოს ნაწილში არის 15 პროფესიული სტუდენტისათვის სამუშაო ადგილი, ხოლო C გარემოს ნაწილში არის სპეციფიკური სამუშაო ადგილი 14 პროფესიული სტუდენტისათვის, თუმცა აღნიშნულ გარემოში ისეა განთავსებული სამუშაო მაგიდები და სკამები, რომ შეუძლებელია მათ შორის გავლა, გარემოს სპეციფიკის და უსაფრთხოების წესების გათვალისწინებით აუცილებელია სამუშაო მაგიდებს შორის სამოძრაო ადგილის დატოვება, რათა გაუთვალისწინებელი უბედური შემთხვევის დროს დაზარალებულმა პროფესიულმა სტუდენტმა ან მასწავლებელმა შეუფერხებლად შეძლოს სივრცის დატოვება/ან/და თავისუფლად გადაადგილება. აღნიშნულიდან გამომდინარე A/C გარემოში მხოლოდ 7 პროფესიული სტუდენტის განთავსებაა შესაძლებელი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის „ფარმაცია “ განხორციელებისთვის მითითებული მატერიალური რესურსის ნაწილი, ვიზუალური დათვალიერებიასას ფიზიკურად დაწესებულებაში არ აღმოჩნდა, ხოლო ნაწილი არ იყო საკმარისი რაოდენობის, რაც დეტალურად აღწერილია ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნაში. რაც შეეხება პრაქტიკის ობიექტს, დისტანციური ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა იქ არსებული მატერიალური რესურსის გადამოწმება, ხოლო ხელშეკრულებას არ აქვს მატერიალური რესურსის ჩამონათვალი დანართის სახით.

ქვესტანდარტი 2.2.1. (3)

პროფესიულ მასწავლებელთა განათლება და სამუშაო გამოცდილება, რიგ შემთხვევებში ვერ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციას. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია შეარჩიოს ისეთი პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა კომპეტენცია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებას და შეფასების კომპეტენციას.

დარგის ექსპერტის განმარტებით, მოდულების „მორფოლოგიის და მემკვიდრეობის საბაზისო საკითხები“ და „ბიოქიმია“ განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებელებს არ გააჩნიათ მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი განათლება და სამუშაო გამოცდილება დარგში. თუმცა, ასევე აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას ყავს შესაბამისი კომპეტენციის პროფესიული მასწავლებლები, რომლებიც შეძლებენ მოცემული მოდულების განხორციელებას.

ქვესტანდარტი 2.4.1. (5)

დაწესებულებას სტანდარტთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით ეძლევა რეკომენდაცია პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებებაში მიეთითოს მოდულის სწავლის შედეგებისთვის განსაზღვრული საათები, ასევე დაზუსტდეს პროფესიულ სტუდენტთა

შეფასების საკითხები. ასევე ხელშეკრულებით ვერ დგინდება პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში მატერიალური რესურსით სწავლის შედეგის მიღწევის უზრუნველყოფა და გარანტიები, დაწესებულებამ პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ თანამშრომლობის ხელშეკრულებას უნდა დაურთოს დანართის სახით მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, პროფესიული სტუდენტის რაოდენობის შესაბამისად.

ქვესტანდარტი 2.4.1. (6)

C გარემოში არსებული გამწოვი მოწყობილობა ვერ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული მასწავლებლის უსაფრთხო გარემოს შექმნას. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია C გარემოში უზრუნველყოს უსაფრთხო გარემოს შექმნა, კერძოდ დაამონტაჟონ ისეთი გამწოვი მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს ქიმიურ ლაბორატორიაში მინიმალური უსაფრთხო გარემოს შექმნას.

მოცემულ ხარვეზთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ქიმიური ლაბორატორია არის საფრთხის შემცველი, ვინაიდან იქ არის აირადი ნივთიერებები, C გარემოში დამონტაჟებული გამწოვი მოწყობილობა, ცდის ჩატარების პროცესში (კერძოდ, აირადი ნივთიერებების, ორთქლის, შეწონილი ნაერთების, მავნე, მომწამლავ და მბოლავ, ადვილად აალებად ნივთიერებებთან მუშაობისას) ვერ უზრუნველყოფს სტუდენტის და პროფესიული მასწავლებლის მინიმალური უსაფრთხო გარემოს შექმნას. ვინაიდან აღნიშნული ამწოვი მოწყობილობა არ არის სრულად იზოლირებული შესაბამისად მოძრავი „ფანჯრით/ეკრანით“, რომელიც მუშობის დაწყებამდე და დასრულებისთანავე უნდა იყოს სრულად დახურული, ხოლო მუშაობის პროცესში ღია 1/3 და არა მუდმივად ღია.

ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა განმავითარებელი რეკომენდაციები:

ქვესტანდარტი 2.1.1.

8. სასწავლო გეგმის შედგენისას სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს დარგის სპეციფიკა და მოდულების ლოგიკური წინაპირობები.

ქალბატონმა ნატა ჩხაიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა, სასწავლო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მოდულებით გასათვალისწინებელ წინაპირობებს, თუმცა ლოგიკური წინაპირობები, რიგ შემთხვევებში გათვალისწინებული არ არის, მაგ. მოდული „ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები“ (0911025) სასურველია განხორციელდეს მოდულების „მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება“ (0911012) და „პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება“ (0911014) განხორციელებამდე ან მათ პარალელურად; მოდულები „ფარმაკოლოგია“ (0911024) ან/და „სამკურნალო მცენარეული და ცხოველური ნედლეული“ (0911018) სასურველია განხორციელედეს მოდული „მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა“ (0911006) განხორციელებამდე ან მის პარალელურად.

ქვესტანდარტი 2.2.1.

2. დაწესებულებისა ეძლევა რეკომენდაცია შეიმუშაოს პროფესიული მასწავლებლების დატვირთვის განსაზღვრის მეთოდოლოგია, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნას აქტივობები: საკონტაქტო საათების ჩატარება; მომზადება მეცადინეობებისთვის; შეფასების ინსტრუმენტების მომზადება და მათი ვალიდაციის პროცესში მონაწილეობა; სტუდენტთა ნაშრომების შემოწმება; პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა; სხვადასხვა სამუშაო ჯგუფების თუ მართვის კოლეგიალური ორგანოების მუშაობა და სხვა.

4. დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციით არ იკვეთება, თუ როგორ ხდება პროგრამის ხელმძღვანელის ან შერჩევა, ან დამტკიცება. შესაბამისად, რეკომენდებულია გაიწეროს აღნიშნული შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტში. ექსპერტების მიერ რეკომენდებულია პროგრამის ხელმძღვანელი მეტად ჩაერთოს პროგრამის ადაპტირების, განხორციელების და შეფასების ნაწილში, ასევე გააკეთოს ინიცირება რესურსების (სასწავლო და მატერიალური) მობილიზების/განახლების თვალსაზრისით. აგრეთვე სასურველია, რომ

პროგრამის ხელმძღვანელ აქტიურად ჩაერთოს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების საკითხებში და შევასების ინსტრუმენტების ვალიდაციაში;
5.დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები (ნორმატიული აქტები) ხელმისაწვდომი იყოს ავტორიზებული მომხმარებლის სახით სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (www.matsne.gov.ge) საკანონმდებლო აქტების საძიებო სისტემაში; სასწავლო რესურსებად მითითებული ლინკები გადატანილ იქნას ელექტრონულ მატარებლებზე;

ქვესტანდარტი 2.4.1

4. რეკომენდებულია რეგულაციით იკვეთებოდეს, სსსმ პროფესიული სტუდენტების შემთხვევის გარდა, თუ ვინ არის პასუხისმგებელი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაზე(მაგ. მობილობის, სტატუსის აღდგების დროს და ა.შ).
5. დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულ შპს „ავერსი-ფარმა“ს პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარდეთ დამატებითი ტრენინგი კომპეტენციებზე დაფუძნებულ სწავლებასა და შეფასებების მიმართულებით; პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებებაში მიეთითოს მოდულის სწავლის შედეგებისთვის განსაზღვრული საათები, ასევე სტუდენტთა შეფასების საკითხები.
6. დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია C გარემოში თვალსაჩინო ადგილას გამოაკრან უბედურ შემთხვევის დროს პირველადი დახმარების წესები და განათავსონ ცეცხლმაქრი; გაწეროს ქიმიური და ფარმაცევტული ნარჩენების მართვისა და დამუშავების სპეციალური წესები. ხელშეკრულება გააფორმოს კომპეტენტურ კომპანიასთან, რომელიც უზრუნველყოფს სახიფთო ქიმიური და ფარმაცევტული ნარჩენების გატანას;
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია“ არ შეესაბამება მეორე სტანდარტის მოთხოვნებს.
ექსპერტთა ჯგუფის პრეზენტაციის შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა დაეფიქსირებინა თავისი მოსაზრება, რატომ გადაწყვიტეს აღნიშნული პროგრამის დამატება მოცემულ პირობებში. ბატონმა დავით პაპაშვილმა ისაუბრა ექსპერტების მიერ დაფიქსირებულ ხარვეზებსა და რეკომენდაციებზე, პირველ რიგში მან კომენტარი გააკეტა პროგრამის A/C გარემოზე და აღნიშნა, რომ მოცემული გარემო თავისი ფართით არ ქმნის პრობლემას გამტარუნარიანობის შესახებ, რაც შეეხება სწავლების პროცესს, მისი განმარტებით მოცემულ გარემოში ერთდროულად არ იგეგმებოდა თეორიული და პრაქტიკული სწავლება. უსაფრთხოების თვალსაზრისით გაცემულ რეკომენდაციას დაწესებულება დაეთანხმა და გაითვალისწინა. ასევე, დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიგნებას სწავლის შედეგების პრაქტიკის ობიექტზე გატანასთან დაკავშირებით და წარმოადგინა შესაბამისი ხელშეკრულება. კოლეჯს აქვს გამოცდილება ჯანდაცვის მიმართულების პროგრამების განხორციელების კუთხით. ბატონმა დავით პაპაშვილმა ტექნიკური სახის შეცდომად მოიხსენია ადამიანურ რესურთან დაკავშირებული ხარვეზი და როგორც ექსპერტთა ჯგუფმა, მანაც აღნიშნა, რომ კოლეჯს ყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე კვალიფიციური კადრები. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა მატერიალურ რესურსზე, რომლის ჩვენებაც ექსპერტების ვიზიტის დროს სრულყოფილად ვერ მოხერხდა, ამ ეტაპზე მოცემული ხარვეზიც აღმოფხვრილია, დაწესებულებას შეძენილი აქვს პროგრამით გათვალისწინებული საჭირო მატერიალური რესურსი, რომლის სურათებიც გადმოგზავნილია არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად. მან ასევე ისაუბრა გამწოვ კარადაზე, დაეთანხმა დარგის ექსპერტს, რომ არ იყო იმ მახასიათებლის, თუმცა კოლეჯს აქვს მეღვინეობის ლაბორატორია, სადაც შესაძლებელია მოცემული პროცედურების ჩატარება. ბატონი დავით პაპაშვილი აღნიშნავს, რომ კოლეჯი მუდმივად ზრუნავს განვითარებაზე და ითვალისწინებს ექსპერტთა რეკომენდაციებს.
საბჭოს თავმჯდომარის კითხვაზე, კოლეჯი მზად იყო თუ არა პროგრამის განსახორციელებლად, დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ისინი

ახორციელებდნენ ფარმაცევტის თანაშემწის პროგრამას, რომელიც ამ ეტაპზე გაუქმებულია და ჰქონდათ მზადყოფნა, თუმცა გასათვალისწინებელია ის რეკომენდაციები, რაც დაფიქსირდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ.
საბჭოს თავჯდომარეს ასევე დააინტერესა სად დასაქმდებოდნენ კურსდამთავრებულები, რაზეც კოლეჯის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ თანამშრომლობენ ავერსი ფარმასთან და მათი კურსდამთავრებულებიც დასაქმებულები არიან მოცემულ სააფთიაქო ქსელში.
ქალბატონ შორენა ჯაფარიძეს ჰქონდა კითხვა სასწავლო გეგმასთან და წინაპირობების ლოგიკურ კავშირთან და ასევე, პროგრამის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.
დავით პაპაშვილმა გააკეთა განმარტება, რომ სასწავლო გეგმის შემთხვევაში დაცული იყო ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული წინაპირობები, თუმცა დარგის სპეციალისტის მიერ დანახულ ლოგიკურ კავშირს ეთანხმებიან. რაც შეეხება პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის კითხვას, კოლეჯი ეყრდნობა კვლევებს, რომელიც მათ ჩაატარეს და სადაც ნათლად ჩანს, თუ რატომ გადაწყვიდა დაწესებულებამ მოცემული პროგრამის განხორციელება.
დარგის ექსპერტმა დაადასტურა ბაზარზე კადრის სიმცირე და მოთხოვნა, რას ასევე გამოიკვეთა პრაქტიკის კომპონენთან ინტერვიურების დროს. ვინაიდან მოცემული პროგრამა არის ძალიან სპეციფიური, სასურველია, რომ პროგრამის ხელმძღვანელი მეტად იყოს ჩართული პროგრამის ადაპტირებასა და შემუშავებაში, მატერიალური რესურსისა და სასწავლო რესურსის კუთხით. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, რაც დასტურდება მისი პირადი საქმით. ქალბატონმა ალინა კუპრავამ აღნიშნა, რომ ფორმალურად ეს ყველაფერი გაწერილი იყო პროგრამის ხელმძღვანელის ხელშეკრულებაში, თუმცა რეალურად იკვეთებოდა მისი ნაკლები ჩართულობა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ „ფარმაციის“(გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. კაჭრეთი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად.
საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამის პარამეტრები და აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევა 2021 წლის 10 ივნისიდან.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 0
მოწინააღმდეგე: 10

გადაწყვეტილება: სსიპ - კოლეჯ „აისს“ (ს/კ:227770800) უარი ეთქვას განახორციელოს „ფარმაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

ქალბატონმა ნანა ყუფუნიამ გააჟღერა საბჭოს ერთიანი პოზიცია, რომ კოლეჯს აქვს საკმაოდ კარგი ე.წ. გაიდლაინი, იმისთვის რომ უკეთ მოემზადოს, კარგად გაიაზროს პროგრამის სპეციფიკა, საჭირო რესურსები და უფრო მომზადებულად შემოიტანოს შემდგომში განაცხადი, ვინაიდან, როგორც დარგის ექპერტმა აღნიშნა, პროგრამაზე მოთხოვნა არის. საბჭოს

თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა ექსპერტების კარგ ნამუშევარზე, განსაკუთრებით დარგის კუთხით და მადლობა გადაუხადა მათ.

15:10 საათზე სხდომა დატოვა სერგო ნოზაძემ.

4. სსიპ - კოლეჯ ,,ბლექსის" ,,სასტუმრო მომსახურების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის მონიტორინგის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.
საბჭოს წინაშე ექსპერტთა დასკვნა წარმოადგინა ქალბატონმა ქეთევან ბოტკოველმა, დარგის ექსპერტი, ქალბატონი ნინო მოწყობილი არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას საპატიო მიზეზის გამო.
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 30 მარტის N301632 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი, წევრი: ნინო მოწყობილი დაევალა, სსიპ კოლეჯ "ბლექსიში" ,,სასტუმრო მომსახურების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა და „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, დისტანციურად ჩართვამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც 15 აპრილს, 14.00 საათზე განხორციელდა ჩართვა. შეხვედრამ ჩაიარა მშვიდ გარემოში.
ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად განიხილეს დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სასტუმრო მომსახურება“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხები. გაესაუბრნენ პროფესიული საგანმანათლებლო მოდულების განმახორციელებელ პირებს, პროგრამის ხელმძღვანელს და შეამოწმეს მათი პირადი საქმეები. შემოწმდა დაწესებულების მატერიალური ბაზა, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკაში არსებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ფონდი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. შემოწმდა პრაქტიკის ობიექტებთან დადებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები და განხორციელდა მათთან გასაუბრება ონლაინ რეჟიმში.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ავტორიზაციით განსაზღვრული ჰქონდა 30 პროფესიულ სტუდენტით ზღვრული რაოდენობა, ხოლო დაწესებულების მიერ დამატებით მოთხოვნილი რაოდენობა არის 30, ჯამში 60 პროფესიული

სტუდენტი, რასაც ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ონლაინ დათვალიერების, ასევე შესაბამის პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „სასტუმრო მომსახურება“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (60 პროფ სტუდენტი. 10 - დუალური, 50 მოდულური. მათ შორის, 45 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით).

დუალური სწავლებისათვის და პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სასტუმროებთან: Hilton Batumi, Wyndham Batumi. ხელშეკრულებების თანახმად ორივე დაწესებულება იღებს ვალდებულებას განახორციელოს ორი მოდულის: ,,სასტუმროსა და რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა“ (III და V შედეგები) და ,,სასტუმროს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა“ (II-V სწავლის შედეგები) სწავლება და ერთი დღის განმავლობაში მოემსახუროს არაუმეტეს 8 პროფესიულ სტუდენტს. ამავე ხელშეკრულებების თანახმად, რაც ასევე დაგვიდასტურა ონლაინ ჩართვის დროს სასტუმრო Wyndham-ის წარმომადგენელმა, გამოყოფილია შესაბამისი კომპეტენციების მქონე პირი, რომელიც უზრუნველყოფს სასტუმრო ბაზაზე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებას. ხელშეკრულებას თან ერთვის შესაბამისი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რომლის არსებობაც ასევე უნდა უზრუნველყოს პრაქტიკის ობიექტმა.

დაწესებულებაში წარმოდგენილია ერთი A გარემო, რომელიც გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე და გამოიყენება „სასტუმრო მომსახურების“ პროგრამის ფარგლებში მოცემული მოდულების განხორციელების მიზნით. დაწესებულებაში ასევე წარმოდგენილია B გარემო, რომელიც გათვლილია ერთდროულად 15 პროფესიულ სტუდენტზე, რაც გადამოწმდა დათვალიერებისას. კვების ბლოკისთვის გათვალისწინებულია ცალკე ერთი C გარემო შესაბამისი მატერიალური რესურსებით და ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულების პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად, რაც ასევე გადამოწმდა დათვალიერებისას.

პროფესიული მოდულების განხორციელების მიზნით დაწესებულებაში ასევე წარმოდგენილია ორი A/C გარემო, რომლებიც აღჭურვილია სასტუმრო მომსახურების სპეციფიკის გათვალისწინებით პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით. აღნიშნულ A/C გარემოში გათვალისწინებულია A გარემოსთვის საჭირო მატერიალური რესურსი სამუშაო მაგიდების, სკამების და სხვა საჭირო რესურსების ჩათვლით, რაც საკმარისია მაქსიმუმ 15 პროფესიული სტუდენტისთვის. ასევე აღჭურვილია სასტუმრო მომსახურების სპეციფიკის C გარემოსთვის დამახასიათებელი მატერიალური აღჭურვილობით.

დაწესებულებას მიმდინარე პერიოდში „სასტუმრო მომსახურების“ დუალურ პროგრამაზე ჰყავს 4 პროფესიული სტუდენტი, ხოლო, მოდულურ პროგრამაზე 14 პროფესიული სტუდენტი პარტნიორ კომპანიების ხელშეკრულებების დათვალიერების და წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება პარტნიორების მზაობა მიიღონ ჯამში 50 პროფესიული სტუდენტი, დღიური 7 და 8 პროფესიული სტუდენტის ოდენობით, რაც დარეგულირებულია შესაბამისი განრიგით.

კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამისთვის - „სასტუმრო მომსახურება“- განსაზღვრული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და მათი საათობრივი დატვირთვა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მათთან დადებული ხელშეკრულებები და კვირეული საათობრივი დატვირთვა, რის შედეგედაც დადგინდა, რომ პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს ჰყავს: 6 - პროფესიული მასწავლებელი ზოგადი მოდულებისთვის, 23 - პროფესიული მასწავლებელი პროფესიული მოდულებისთვის და 14 - მასწავლებელი ხუთი ინტეგრირებული ზოგადი მოდულისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს წარუდგინა კოლეჯის ინტერიერის და აღჭურვილობის ფოტოები.

ექსპერტთა მიერ სტანდარტი შეფასდა სრული შესაბამისობით. ხარვეზები და რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯი „ბლექსისთვის“ „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ.
საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამის პარამეტრები და აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევა 2021 წლის 10 ივნისიდან.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: სსიპ - კოლეჯ „ბლექსის“ (ს/კ:245610398) დანართით განსაზღვრულ „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 60-ით **(დანართი 3).**

5. სსიპ - კოლეჯ „ფაზისისთვის“ „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის მონიტორინგის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.
საბჭოს წინაშე ექსპერტთა დასკვნა წარმოადგინა ბატონმა ლევან მადათოვმა, ხოლო დარგის ექსპერტი, ბატონი მუხრან გაფრინდაშვილი არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შესწავლილ იქნა დაწესებულების განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია, შემუშავდა დისტანციური გასაუბრების განრიგი. ონლაინ ჩართვა დაწესებულებასთან შედგა 2021 წლის 22 აპრილს. გასაუბრება შედგა კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფაზე, ასევე სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან, მოხდა მატერიალური რესურსების, მათ შორის ბიბლიოთეკის დათვალიერება და შედგა გასაუბრება პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელთან. ონლაინ შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილ იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას სურს დაიმატოს მესამე დონის „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ქ. ფოთში. დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე სურს 15 პროფესიული სტუდენტის მიღება, რასაც ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფი.

ბატონმა ლევან მადათოვმა განმარტა, რომ სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. „ხის მხატვრული დამუშავება“ მოიცავს 6 ზოგად მოდულს - ჯამური 16 კრედიტის რაოდენობით, 5 საერთო პროფესიულ მოდულს - ჯამური 16 კრედიტის რაოდენობით, 9 პროფესიულ მოდულს - ჯამური 46 კრედიტის რაოდენობით, 2 არჩევითი მოდულს - ჯამური 11 კრედიტის რაოდენობით. ხის მხატვრულ დამუშავებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს 89 კრედიტი. ხოლო არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტებმა კი 104 კრედიტი, რომელშიც შედის ქართული ენა A2 (15 კრედიტი).
კოლეჯს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ხის მხატვრული დამუშავება” მიზნებისათვის A/C გარემოსთვის კოლეჯს გათვალისწინებული აქვს ერთი სივრცე თეორიული სწავლებისათვის - 41,12 კვ.მ ფართი, სადაც განთავსებულია მერხი და სკამი 15 პროფესიული სტუდენტისათვის. პროფესიული სტუდენტებისათვის C გარემო გათვალისწინებულია პარტნიორ ორგანიზაციებში, სადაც მოხდება გარკვეული მოდულის პრაქტიკული სწავლის შედეგების განხორციელება და დადასტურება.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პრაქტიკული პროფესიული მოდულებისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ი/მ ავთანდილ ალასანია, შპს „ანდრიანი“ და შპს „არტ ფაზისთან“. მოხდა გასაუბრება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რომლებიც წლებია თანამშრომლობენ კოლეჯთან და გააჩნიათ საკუთარი სახელოსნოები. სწორედ მათ სახელოსნოებში მოხდება პრაქტიკული მოდულების გავლა.
ექსპერტთა მიერ სტანდარტი შეფასდა სრული შესაბამისობით. ხარვეზები და რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს დაუსვა კითხვა თუ სად დასაქმდებიან მომავალი კურსდამთავრებულები, რაზეც დაწესებულების დირექტორმა განუმარტა, რომ მოცემულ კადრებზე მოთხოვნა ძალიან დიდია ფოთისა და ხობის ტერიტორიაზე.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯი „ფაზისისთვის“ „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ.
საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამის პარამეტრები და აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევა 2021 წლის 10 ივნისიდან.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: სსიპ - კოლეჯ „ფაზისს“ (ს/კ: 215101716) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 4)**.

6. სსიპ - კოლეჯ „ფაზისისთვის“ „ფლორისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა

დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ბატონმა ლევან მადათოვმა და ქალბატონმა ქეთევან გელაშვილმა.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შესწავლილ იქნა დაწესებულების განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია, შემუშავდა დისტანციური გასაუბრების განრიგი. ონლაინ ჩართვა დაწესებულებასთან შედგა 2021 წლის 20 აპრილს. გასაუბრება შედგა კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფაზე, ასევე სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან, მოხდა მატერიალური რესურსების, მათ შორის ბიბლიოთეკის დათვალიერება და შედგა გასაუბრება პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელთან. ონლაინ შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილ იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას სურს დაიმატოს მესამე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფლორისტიკა“ ქ. ფოთში. დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე სურს 30 პროფესიული სტუდენტის მიღება, რაზეც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი.

დაწესებულებას სტანდარტი შეფასებული ჰქონდა სრული შესაბამისობით, რასაც ასევე, დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი.

ხარვეზები და შესაბამისობის რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა. გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის მიხედვით რამდენიმე მოდულის, კერძოდ, „საქორწილო ფლორისტიკა“, „ინტერიერის და ღია სივრცის გაფორმება“ დაწყება გათვალისწინებულია სწავლების პირველივე კვირაში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ მოდულებს არ აქვს დაშვების წინაპირობა, მოდულების შინაარსიდან გამომდინარე სასურველია, მათი განხორციელება პროგრამის განხორციელების შუა ან დასკვნით ეტაპზე დაიწყოს. რამდენადაც მათი შინაარსი გულისხმობს ისეთი საბაზო ცოდნისა და უნარების ფლობას, როგორიცაა მაგალითად, ესკიზის შესრულება, კომპოზიციის პრინციპებისა და მცენარეული ასორტიმენტის ცოდნა. აქედან გამომდინარე, სასურველია, გადაიხედოს და შეიცვალოს სასწავლო გეგმა.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ორი სასწავლო გეგმა: ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. ქართულენოვანი სტუდენტებისასთვის სასწავლო გეგმით განსაზღვრულია 36 სასწავლო კვირა, 53 კრედიტის ოდენობით, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 46 სასწავლო კვირა 68 კრედიტის ოდენობით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ფლორისტიკა” მიზნებისათვის A გარემოსთვის გათვალისწინებულია აქვს ერთი საერთო სივრცე თეორიული და სასწავლო პრაქტიკული სწავლებისათვის - 54 კვ.მ ფართი, სადაც განთავსებულია მერხი და სკამი 15 პროფესიული სტუდენტისათვის. C გარემოდ გამოყენებულია პარტნიორი ორგანიზაციების შესაბამისი მატერიალური-ტექნიკური ბაზა. დაწესებულებაში B სასწავლო გარემოში არის 25 სამუშაო ადგილი 25 პროფესიულ სტუდენტზე. ყოველივე ამის გათვალისწინებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის ,,ფლორისტიკა”, გამოყოფილი სივრცის რესურსი შეადგენს 15 პროფესიულ სტუდენტს ერთ ცვლაში, ორი ცვლის შემთხვევაში- 30 პროფესიულ სტუდენტს. ფლორისტიკას პროგრამის განხორცილებისთვის დაწესებულებას 4 ზოგად მოდულზე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 6 პროფესიულ მასწავლებელთან, პროფესიული დარგობრივ მოდულებზე - 2 პროფესიულ მასწავლებელთან. დაწესებულებას გაფორმებული

აქვს მემორანდუმები შემდეგ პარტნიორ ორგანიზაციებთან: ი/მ ნინო ქორჩილავა - მაღაზია „ყვავილების სამყარო“, ი/მ თამარ კვირკველია - მაღაზია „მაიკოს ყვავილები“, ი/მ ბელა ეჯიბია , ი/მ ზაირა სიჭინავა, ი/მ დარეჯან პაპავა პრაქტიკული პროფესიული მოდულების განხორციელებისა და სწავლის შედეგების აღნიშნულ საწარმოებში დადასტურების მიზნით.
განმავითარებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ისუბრა დარგის ექსპერტმა, ქალბატონმა ქეთევან გელაშვილმა, ხოლო დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ მოცემული რეკომენდაცია გაითვალისწინეს და სასწავლო გეგმა უკვე შეცვლილია.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯი „ფაზისისთვის“ „ფლორისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ.
საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამის პარამეტრები და აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევა 2021 წლის 10 ივნისიდან.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: სსიპ - კოლეჯ „ფაზისს“ მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ფლორისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანა რთი 5).**

7. სსიპ - კოლეჯ „ფაზისისთვის“ „მებაღეობის“ (ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნოჯიხევი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.
საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ბატონმა ლევან მადათოვმა და ქალბატონმა ქეთევან გელაშვილმა.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შესწავლილ იქნა დაწესებულების განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია, შემუშავდა დისტანციური გასაუბრების განრიგი. ონლაინ ჩართვა დაწესებულებასთან შედგა 2021 წლის 20 აპრილს. გასაუბრება შედგა კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფაზე, ასევე სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან, მოხდა მატერიალური რესურსების, მათ შორის ბიბლიოთეკის დათვალიერება და შედგა გასაუბრება პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელთან. ონლაინ შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილ იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას სურს დაიმატოს მეოთხე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მებაღეობა“, რომელშიც ინტეგრირებულია

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ნოჯიხევში. დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე სურს 30 პროფესიული სტუდენტის მიღება და აქედან 15 იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს, რაზეც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი. პროგრამის განხორციელება იგეგმება მოდულური მიდგომით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ (მოდულური და ინტეგრირებული მიდგომით) მიზნებისათვის ხობი / ნოჯიხევის განყოფილებაში გათვალისწინებული აქვს სივრცე თეორიული სწავლებისათვის - 67,67 კვ.მ, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით 20 პროფესიულ სტუდენტზე: სამუშაო მაგიდა, სკამი).

გარკვეული მოდულების შესაბამისი პრაქტიკული სწავლის შედეგების განხორციელება და დადასტურება მოხდება პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე. დაწესებულებაში B სასწავლო გარემოში არის 20 სამუშაო ადგილი 20 პროფესიულ სტუდენტზე.
ყოველივე ამის გათვალისწინებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „მებაღეობა“ (მოდულური მიდგომით და ინტეგრირებული) გამოყოფილი სივრცის რესურსი შეადგენს 30 პროფესიულ სტუდენტს (მოდულური-15 პროფესიული სტუდენტი, ინტეგრირებული -15 პროფესიული სტუდენტი)
მებაღეობის პროგრამის განხორცილებისთვის დაწესებულებას 4 ზოგად მოდულზე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 4 პროფესიულ მასწავლებელთან, პროფესიული დარგობრივ მოდულებზე - 5 პროფესიულ მასწავლებელთან, ხოლო ინტეგრირებული მოდულებისთვის - 7 პროფესიულ მასწავლებელთან.
პრაქტიკული პროფესიული მოდულებისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები ი-მ ,,სერგო ბერაია,,, შპს ,,შამათია,, შპს,, ხარება,,. მემორანდუმის ფარგლებში პარტნიორი ორგანიზაცია თანხმდება და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული მოდულების გავლას და სწავლის შედეგების დადასტურებას. მოდულების და სწავლის შედეგების ჩამონათვალი დანართის სახით თან ერთვის მემორანდუმს. პარტნიორი ორგანიზაცია უზრუნველყოფს 20-20 სტუდენტის მიღებას, რეალურ გარემოში ჩართვას, სწავლის შედეგების დადასტურებასა და კოლეჯის მხრიდან გამოყოფილი პროფესიული მასწავლებლის ხელშეწყობას. რაც ასევე დადასტურდა გასაუბრების შედეგადაც.
დაწესებულებას სტანდარტი შეფასებული ჰქონდა სრული შესაბამისობით, რასაც ასევე, დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი.
ხარვეზები და შესაბამისობის რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.

დარგის ექსპერტმა კომენტარი გააკეთა პრაქტიკის ობიექტებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საწარმო გამოთქვამს მზაობას, რომ იქ არსებული აღჭურვილობა გამოიყენონ სტუდენტებმა
.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა სად დასაქმდებიან მომავალი კურსდამთავრებულები, რაზეც დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ კვლევის შედეგად გამოიკვეთა ამ სპეციალობის პირების დეფიციტი, ხობის მუნიციპალიტეტში არის ძალიან ბევრი მეურნეობა და საწარმო, რომლებიც დაასაქმებენ კურსდამთავრებულებს.
მოცემულ საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა კოლეჯის დირექტორმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ამ მეურნეობებში კადრების დეფიციტის გამო, უკვე სტუდენტებიც კი დასაქმებულები არიან. ხობის მუნიციპალიტეტში, მოცემული მეურნეობები უზარმაზარ ტერიტორიებს ფლობენ და კიდევ აპირებენ გაფართოებას, მხოლოდ ეს კადრების დეფიციტი უშლით ხელს. კოლეჯსაც გააჩნია დიდი ტერიტორიები და ასევე გადმოეცა სასოფლო სამეურნეო აღჭურვილობები და მომავალში გეგმავენ რომ თვითონ ჩერთონ ამ კუთხით სტუდენტებთნ ერთად.

ქალბატონი შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა სად აპირებენ პრაქტიკული პროექტის მოდულის განხორციელებას, რაზეც კოლეჯის დირექტორმა უპასუხა, რომ პრაქტიკული პროექტის მოდულის განხორციელებას გეგმავენ სოფ. ნოჯიხევში, კოლეჯის ტერიტორიაზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯი „ფაზისისთვის“ „მებაღეობის“ **(ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნოჯიხევი)** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.
საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამის პარამეტრები და აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევა 2021 წლის 10 ივნისიდან.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: სსიპ - კოლეჯ „ფაზისს“ (ს/კ: 215101716) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „მებაღეობის“ **(ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნოჯიხევი)**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი 6).**

8. სსიპ - კოლეჯ „ფაზისისთვის“ „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.
საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ბატონმა ლევან მადათოვმა და ქალბატონმა ქეთევან ღვანიძემ.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შესწავლილ იქნა დაწესებულების განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია, შემუშავდა დისტანციური გასაუბრების განრიგი. ონლაინ ჩართვა დაწესებულებასთან შედგა 2021 წლის 22 აპრილს. გასაუბრება შედგა კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფაზე, ასევე სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან, მოხდა მატერიალური რესურსების, მათ შორის ბიბლიოთეკის დათვალიერება და შედგა გასაუბრება პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელთან. ონლაინ შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილ იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას სურს დაიმატოს მეხუთე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ ქ. ფოთში. დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე სურს 15 პროფესიული სტუდენტის მიღება, რაზეც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი.

კოლეჯს გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული A და B გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა 20 პროფესიულ სტუდენტზე, ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტების მიერ დისტანციურად მოხდა აღნიშნული აუდიტორიების გადამოწმება, აღმოჩნდა,რომ დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს ერთი A გარემო, #302 აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია საჭირო რესურსით 20 პროფესიულ სტუდენტზე. საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ ითვალისწინებს ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს ჰყავს ორი პარტნიორი ორგანიზაცია : შპს „გიმნაზია“ და „ი/მ ნანა კულუა“.
დაწესებულებამ ვიზიტის მიმდინარეობის დროს წარმოადგინა პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და ასევე მემორანდუმი, რომელიც გაფორმებულია კოლეჯსა და ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, აღნიშნული მემორანდუმი მიზნად ისახავს პარტნიორობა გაუწიოს კოლეჯს და პროფესიული სტუდენტებს საშუალება მისცეს პრაქტიკა გაიარონ ქ. ფოთის სახელმწიფო ბაგა– ბაღებში, რომელთა შერჩევის უფლებაც ექნება დაწესებულებას, მისთვის სასურველი ბაგა–ბაღის ადგილმდებარეობისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტს საშუალება ექნება პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის ნაწილი გაიაროს , როგორც ქ. ფოთის კერძო, ასევე სახელმწიფო ბაგა–ბაღებში, შეადაროს და დააკვირდეს სასწავლო– საალმზრდელო პროცესს, ბაგა–ბაღის გარემოს და უშუალო შეხება ჰქონდეს სხვადასხვა ასაკის აღსაზრდელებთან.
დაწესებულებას ცენტრში წარმოდგენილ განაცხადში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მითითებული ჰქონდა 15 პროფესიული სტუდენტი, ხოლო წარმოდგენილი მოდულური პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული A და B გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა 20 პროფესიულ სტუდენტზე, რაც გამოიკვეთა ექსპერტთა ვიზიტის დროს, დაწესებულებამ საბჭოს მიმართა თხოვნით თუ იქნებოდა შესაძლებელი 20 პროფესიული სტუდენტის დამატება, რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ მიუგო, რომ მათ არ აქვთ უფლება გაუზარდონ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა და ეს ცალკე წარმოების საქმეა, აქედან გამომდინარე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა “სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განისაზღვრა 15-ით.
დაწესებულებას სტანდარტი შეფასებული ჰქონდა სრული შესაბამისობით, რასაც ასევე, დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი.
ხარვეზები და რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯი „ფაზისისთვის“ „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ.
საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამის პარამეტრები და აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევა 2021 წლის 10 ივნისიდან.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: სსიპ - კოლეჯ „ფაზისს“ მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 7).**

9. სსიპ - კოლეჯ ,,ფაზისის" ,,თმის მომსხურების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.
საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ქალბატონმა ზაირა ბერიძემ და ქალბატონმა ნატალია დარჩინიანმა. ,,თმის მომსახურების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ (ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოჯიხევი) ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ავტორიზაციის დებულების 31–ე მუხლის, მე–2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია, შედგა დისტანციური ვიზიტის განრიგი. განრიგის შესაბამისად 2021 წლის 21 აპრილს ჩატარდა დისტანციური ვიზიტი, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, სასწავლო პროცესის მენეჯერს. ექსპერტების მიერ განხორციელდა კოლეჯის გარემოს ონლაინ დათვალიერება: სასწავლო აუდიტორიები, სახელოსნოები/ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, მოხდა გასაუბრება პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან და შესაბამისად დისტანციურად ასევე, დათვალიერება პრაქტიკის ობიექტების.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქალბატონმა ზაირა ბერიძემ განმარტა, რომ დაწესებულებას ავტორიზაციით განსაზღვრული ჰქონდა 10 პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობა, ხოლო დაწესებულების მიერ დამატებით მოთხოვნილი რაოდენობა არის 10, ჯამში 20 პროფესიული სტუდენტი, რასაც ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა, ვინაიდან დაწესებულება აკმაყოფილებს ყველა შესაბამის მოთხოვნას. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის *„თმისმომსახურება“* მიზნებისათვის A და C გარემოსთვის, ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ნოჯიხევში,გათვალისწინებული აქვს ერთი საერთო სივრცე - თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის - 67,67 კვ.მ ფართი, რომელშიც განთავსებულია და მოწყობილია სტილისტის 8 სპეციალური პრაქტიკული სამუშაო ადგილი: თითოეული სპეციალური სამუშაო ადგილი განკუთვნილია 2 პროფესიული სტუდენტისათვის, თითოეულ პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ფართი შეადგენს 6 კვ.მ ამასთან, აღნიშნული ფართი აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური-ტექნიკური ბაზით. *დაწესებულებაში B სასწავლოგარე მოშიარის 20 სამუშაოადგილი 20 პროფესიულსტუდენტზე.* ყოველივე ამის გათვალისწინებით, „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის გამოყოფილი სივრცის *რესურსიშეადგენს 10 პროფესიულსტუდენტსერთცვლაში, ხოლოორიცვ ლისშემთზვევაში-20 პროფესიულისტუდენტი.*
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება რამოდენიმე სილამაზის სალონთან. ექსპერტთა ჯგუფმა დისტანციურად დაათვალიერა ერთ-ერთი პრაქტიკის ობიექტი და გაესაუბრა მათ წარმომადგენელს. მან აღნიშნა, რომ ყველა პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ასახულია სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობა. ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ პრაქტიკის

ობიექტები შეძლებენ გაორმაგებული სტუდენტთა რაოდენობის მიღებას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა ადამიანურ რესურსზე, რომელიც შედგება 12 მასწავლებლისგან. აღსანიშნავია რომ დარგობრივი მოდულებისათვის შერჩეულია პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის პედაგოგი, ერთერთი არის დაწესებულების კურსდამთავრებული რომელიც ასევე პრაქტიკის კომპონენტის ნაწილში წარმოადგენს წარმოადგენს პრაქტიკის ობიექტსაც. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმის გადამოწმება აჩვენებს, რომ აღნიშნულიც აკმაყოფილებს მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა საგანმანათლებლო რესურსი და აღნიშნულიც სრულად შეესაბამება მოთხოვნას, ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის ბიუჯეტიც გაზრდილ რაოდენობაზეც მისი ფინანსური მდგრადობისთვის დათვლილია. დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა A, B და C გარემო და აღნიშნული აკმაყოფილებს მოთხოვნას, მატერიალური რესურსი საკმარისია იმ სტუდენტთა რაოდენობისთვის, რომელსაც ითხოვს დაწესებულება.
დაწესებულებას სტანდარტი შეფასებული ჰქონდა სრული შესაბამისობით, რასაც ასევე, დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი.
დარგის ექსპერტმა გააკეთა კომენტარი და დაეთანხმა თვმჯდომარის მიერ წარმოდგენილ პოზიციას.
ქალბატონმა შორენა ჯაფარიძემ იკითხა ერთი პრაქტიკის ობიექტი როგორ უზრუნველყოფდა 20 პროფესიული სტუდენტის მიღებას, რაზეც განმარტება გააკეთა დაწესებულების წარმომადგენელმა და აღნიშნა, რომ მათ ხელშეკრულება გაფორმებული აქვთ 5 პრაქტიკის ობიექტთან, უბრალოდ ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა მხოლოდ ერთი ობიექტის დათვალიერება.
ხარვეზები და რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯი „ფაზისისთვის“ „თმის მომსახურების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ.
საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამის პარამეტრები და აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევა 2021 წლის 10 ივნისიდან.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: სსიპ - კოლეჯ „ფაზისს“ (ს/კ: 215101716) დანართით განსაზღვრულ „თმის მომსახურების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 20-ით **(დანართი 8).**

10. სსიპ - კოლეჯ „ფაზისის“ „ელექტროობის“ (ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნოჯიხევი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.
საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ქალბატონმა ზაირა ბერიძემ და ბატონმა დავით გუდაძემ.
,,ელექტროობის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ (ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოჯიხევიცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ავტორიზაციის დებულების 31–ე მუხლის, მე–2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია, შედგა დისტანციური ვიზიტის განრიგი. განრიგის შესაბამისად 2021 წლის 21 აპრილს ჩატარდა დისტანციური ვიზიტი, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, სასწავლო პროცესის მენეჯერს. ექსპერტების მიერ განხორციელდა კოლეჯის გარემოს ონლაინ დათვალიერება: სასწავლო აუდიტორიები, სახელოსნოები/ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, მოხდა გასაუბრება პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან და შესაბამისად დისტანციურად ასევე, დათვალიერება პრაქტიკის ობიექტების.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებას ავტორიზაციით განსაზღვრული ჰქონდა 13 პროფესიულ სტუდენტით ზღვრული რაოდენობა, ხოლო დაწესებულების მიერ დამატებით მოთხოვნილი რაოდენობა არის 13, ჯამში 26 პროფესიული სტუდენტი, რასაც ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა. მან განმარტა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი და პარტნიორი ორგანიზაციების საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსით. კოლეჯს აქვს 13 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი AC გარემო, ასევე B გარემო. კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან. დაწესებულებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ მიზნებისათვის, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევში, A და C გარემოსთვის გათვალისწინებული აქვს ერთი საერთო სივრცე თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის - 52.3 კვ.მ. ფართი, რომელშიც განთავსებულია და მოწყობილია სპეციალობა „ელექტროობის“ პროფესიული სტუდენტისათვის 13 სპეციალური პრაქტიკული სამუშაო ადგილი.
დაწესებულების სურს არსებული რაოდენობა პროფესიული სტუდენტების გაზარდოს და პროგრამა განახორციელოს ორ ცვლაში, შესაბამისად 13 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი სასწავლო / სამუშაო გარემო შესაბამისობაშია 26 პროფესიული სტუდენტისათვის ორ ცვლაში.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა ადამიანურ რესურსზე, რომელიც შედგება 14 მასწავლებლისგან, მათ შორის 2 - დარგობრივი, რაც მისი განმარტებით, აკმაყოფილებს მოთხოვნას. მას ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმის გადამოწმება აჩვენებს, რომ აღნიშნულიც აკმაყოფილებს მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა საგანმანათლებლო რესურსი და აღნიშნულიც სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იყო C გარემოს ამსახველი ფოტომასალა.
დაწესებულებას სტანდარტი შეფასებული ჰქონდა სრული შესაბამისობით, რასაც ასევე, დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი.
დარგის ექსპერტმა გააკეთა კომენტარი და დაეთანხმა თვმჯდომარის მიერ წარმოდგენილ პოზიციას.
ვიზიტის დროს ხარვეზები და რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია, თუ რატომ გადაწყვიტეს პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გაზრდა.

დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ პროგრამას უკვე ახორციელებენ და მათი კურსდამთავრებულების 90% დასაქმდა. ბაზრის კვლევებმა, რომელიც სახვადასხვა ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულია, აჩვენებს რომ არის კადრების დეფიციტი და მოთხოვნა დიდი ამ მიმართულების სპეციალისტებზე.
მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იყო C გარემოს ამსახველი ფოტომასალა.
დაწესებულებას სტანდარტი შეფასებული ჰქონდა სრული შესაბამისობით, რასაც ასევე, დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი.
დარგის ექსპერტმა გააკეთა კომენტარი და დაეთანხმა თვმჯდომარის მიერ წარმოდგენილ პოზიციას.
ვიზიტის დროს ხარვეზები და რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯი „ფაზისისთვის“ „ელექტროობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ.
საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამის პარამეტრები და აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევა 2021 წლის 10 ივნისიდან.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: სსიპ - კოლეჯ „ფაზისს“ (ს/კ: 215101716) დანართით განსაზღვრულ „ელექტროობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 26-ით **(დანართი 9).**

11. სსიპ კოლეჯ „ფაზისისთვის“ „სარესტორნო მომსახურების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.
საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ქალბატონმა ზაირა ბერიძემ და ქალბატონმა ნანა შათირიშვილმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას სურს ,,სარესტორნო მომსახურების" საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვება, მათ ეს პროგრამა უკვე დამატებული აქვთ. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია, შედგა დისტანციური ვიზიტის განრიგი. განრიგის შესაბამისად 2021 წლის 21 აპრილს ჩატარდა დისტანციური ვიზიტი, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების

გამოყენებით, ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, სასწავლო პროცესის მენეჯერს. ექსპერტების მიერ განხორციელდა კოლეჯის გარემოს ონლაინ დათვალიერება: სასწავლო აუდიტორიები, სახელოსნოები/ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, მოხდა გასაუბრება პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან და შესაბამისად დისტანციურად ასევე დათვალიერება პრაქტიკის ობიექტების.

„სარესტორნო მომსახურების“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით და პარტნიორ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში. პროგრამის (მათ შორის, ინტეგრირებული სასწავლო გეგმისათვის) განხორციელების პროცესში კოლეჯის პარტნიორები არიან 4(ოთხი) პრაქტიკის ობიექტი; ექსპერეტბი გაესაუბრნენ ორი პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენელს (სასტურმო „ვილა რეტა“, „ბრიკორამა“). სასტუმროს წარმოამაგდენილის განცხადებით კოლეჯთან თანამშრომლობა პრიორიტეტულია და ისინი პროგრამის არა მხოლოდ განხორციელების ფაზაში მონაწილეობენ, არამედ აქტიურად არიან ჩართულნი მისი შემუშავების და განვითარების პროცესებში, რადგან სასტუმრო მაღალი სტანადარტებით საქმიანობას, რომელიც მოითხოვს ადგილობრივ ბაზარზე შესაბამისი კომპეტენციების მქონე კვალიფიციური პერსონალის მოზიდვას, მომზადებას და მათ განვითარებაზე ზრუნვას. პროგრამისათვის კოლეჯში გამოყოფილია ერთი A გარემო, ერთი B გარემო. C გარემო-სასტუმროს ნომრის სიმულაციური ოთახი ფართი 40,2 კვ.მ; ფართი თეორიული სწავლებისათვის- 34,2 კვ.მ და 26,2 კვ.მ, რომლებიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით (სამუშაო მაგიდა, სკამი და ა.შ). რეცეფშენი-27,3 კვ.მ; სასტუმრო მართვის პროგრამა "ოპერა" და სარესტორნო მომსახურეობის პროგრამა ,,სუფრა+" რომლებიც გათვალისწინებულია ჯგუფში 10 პროფესიულ სტუდენტზე.

ინტეგრირებული მოდულების პრაქტიკული სწავლებისთვის გამოყოფილია შემდეგი 3 C გარემო:

მეცნიერება და ტექნოლოგიების მოდული შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის სტანდარტებთან. შესაბამისად დაწესებულებას აქვს გამოყოფილი ე.წ. სასწავლო ლაბორატორიები (C სასწავლო გარემო) ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის მოდულ(ებ)ის განხორციელებისათვის. თითოეული მათგანი აღჭურვილია მოდულების შესაბამისი მატერიალური ინვენტარით და მოდულის პროცესების მიმართულებისათვის საჭირო აღჭურვილობით, რომელიც წარმოადგინა დაწესებულებამ და ასევე, მოხდა დისტანციურად ვიდეოზარის საშუალებით დათვალიერებაც. ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისათვის გამოყოფილი სასწავლო გარემოებები (A,B,C) გათვალისწინებულია ერთ ჯგუფში 20 პროფესიულ სტუდენტზე და დაკომპლექტებულია შესაბამისი აღჭურვილობით, თუმცა პროგრამისათვის მოთხოვნილი რაოდენობა პროფესიული სტუდენტების არის 10 პროფესიული სტუდენტი.

დაწესებულებას სტანდარტი შეფასებული ჰქონდა სრული შესაბამისობით, რასაც ასევე, დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი.

დარგის ექსპერტმა გააკეთა კომენტარი და დაეთანხმა თვმჯდომარის მიერ წარმოდგენილ პოზიციას და აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი არის ძალიან მაღალი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სარესტონო მომსახურება“ კოლეჯს საერთო პროფესიული და დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის შრომითი ხელშეკრულება აქვს დადებული პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ხოლო ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისათვის დაწესებულებას ჰყავს 14 (თოთხმეტი) კონკურსის წესით შერჩეული ინტეგრირებული მოდულების მასწავლებელი.

ქალბატონი ნანა ყუფუნიას კითხვაზე, რამდენად არის მოთხოვნა მოცემული პროგრამის კურსდამთავრებულებზე, დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ პარტნიორ ორგანიზაციებთან საუბრისას გამოიკვეთა საკმაოდ მაღალი მზაობა და დიდი მოთხოვნა აღნიშნული პროგრამის

კურსდამთავრებულებზე. სარესტორნო მომსახურებაში დამსაქმებელთა ინტერესი არის ძალიან მაღალი.
ვიზიტის დროს ხარვეზები და რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.
დარგის ექსპერტმა გააკეთა კომენტარი და დაეთანხმა თვმჯდომარის მიერ წარმოდგენილ პოზიციას.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ კოლეჯ „ფაზისისთვის“ „სარესტორნო მომსახურების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამის პარამეტრები და აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევა 2021 წლის 10 ივნისიდან.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: სსიპ - კოლეჯ „ფაზისს“ (ს/კ: 215101716) მიენიჭოს უფლება განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სარესტორნო მომსახურების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი 10).**

12. სსიპ კოლეჯ „ფაზისისთვის“ „თევზის გადამუშავების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.
საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ბატონმა ლევან მადათოვმა და ქალბატონმა ეკატერინე ნანობაშვილმა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,თევზის გადამუშავება“ ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის N41 გადაწყვეტილებით. დაწესებულების განაცხადით ხდება პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში დირექტორის 2021 წლის 25 მარტის N01/20 ბრძანებით, განხორციელდა ცვლილება და დამტკიცდა მოდიფიცირებული სახით, ინტეგრირებულ მოდულებთან ერთად. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება გათვალისწინებულია დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით. პსდ-ს გადაწყვეტილება

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას. ამასთან, კოლეჯს უკვე გააჩნია გამოცდილება ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა. პროგრამაზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შესაბამისობაშია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიასთან (ცვლილება მეთოდოლოგიაში) 30 პროფესიული სტუდენტიდან 15 სტუდენტის მიღება მოხდება არაინტეგრირებულ,ხოლო 15 ის მიღება მოხდება ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე. დაწესებულებას „თევზის გადამუშავება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის A გარემოსთვის გათვალისწინებულია აქვს სივრცე - 32.1 კვ.მ. ფართი. რომელშიც განთავსებულია და მოწყობილია სპეციალობა თევზის გადამუშავება“ 15 პროფესიული სტუდენტისათვის (2 ცვლაში 30). პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების. მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; კოლეჯში მოწყობილია თევზის გადამუშავების სახელოსნო, სადაც მიმდინარეობს პროგრამის პრაქტიკული სწავლის შედეგების განხორციელება და დადასტურება. ასევე გარკვეული მოდულების პრაქტიკული სწავლის შედეგებს პროფესიული სტუდენტები ადასტურებენ პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე. ასევე კოლეჯს გააჩნია სრული აღჭურვილობა ინტეგრირებული მოდულების სწავლებისათვის შესაბამისი A გარემოების გათვალისწინებით.
ინტეგრირებული მოდულებისათვის დაწესებულებას შერჩეული ყავს 7 პროფესიული განათლების მასწავლებელი.
ვიზიტის დროს ხარვეზები და რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.
დაწესებულებას სტანდარტი შეფასებული ჰქონდა სრული შესაბამისობით, რასაც ასევე, დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი.
ქალბატონმა ნანა ყუფუნიამ მიმართა დაწესებულების დირექტორს თავისი პოზიციის დასაფიქსირებლად. ქალბატონმა ნინო ბაკურაძემ, აღნიშნა, რომ მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია მოცემულ პროგრამაში მომხდარიყო ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირები, რადგან ძალიან დიდი მოთხოვნა იყო მოცემულ პროგრამასთან დაკავშირებით 9 კლას დამთავრებული მოსწავლეებისგან, რომელთაც სურდათ სწავლის გაგრძელება კოლეჯში.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ კოლეჯ „ფაზისისთვის“ „თევზის გადამუშავების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: სსიპ - კოლეჯ „ფაზისს“ (ს/კ: 215101716) მიენიჭოს უფლება განახორციელოს დანართით განსაზღვრული „თევზის გადამუშავების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი 11).**

13. სსიპ კოლეჯ „ფაზისისთვის“ „ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.
საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ბატონმა ლევან მადათოვმა და ბატონმა გენადი კვერენჩხილაძემ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში“ ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის N41 გადაწყვეტილებით. დაწესებულების განაცხადით ხდება პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში დირექტორის 2021 წლის 25 მარტის N01/21 ბრძანებით, განხორციელდა ცვლილება და დამტკიცდა მოდიფიცირებული სახით, ინტეგრირებულ მოდულებთან ერთად. პროგრამაზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შესაბამისობაშია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიასთან (ცვლილება მეთოდოლოგიაში) 30 პროფესიული სტუდენტიდან 15 სტუდენტის მიღება მოხდება არაინტეგრირებულ,ხოლო 15 ის მიღება მოხდება ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე. დაწესებულებას „ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის A გარემოსთვის გათვალისწინებულია აქვს სივრცე - 38 კვ.მ ფართი. რომელშიც განთავსებულია და მოწყობილია სპეციალობა „ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში“ პროფესიული სტუდენტისათვის საკლასო სამუშაო ადგილი, თითოეული სამუშაო ადგილი განკუთვნილია ერთი პროფესიული სტუდენტისათვის. პრაქტიკული სწავლის შედეგების დადასტურებისთვის კოლეჯს გააჩნია სასწავლო ლაბორატორია 95 კვ.მ ფართი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით.
ასევე კოლეჯს გააჩნია სრული აღჭურვილობა ინტეგრირებული მოდულების სწავლებისათვის შესაბამისი A გარემოების გათვალისწინებით.
ინტეგრირებული მოდულებისათვის დაწესებულებას შერჩეული ყავს 7 პედაგოგი.
ვიზიტის დროს ხარვეზები და რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.
დაწესებულებას სტანდარტი შეფასებული ჰქონდა სრული შესაბამისობით, რასაც ასევე, დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი.
ქალბატონმა ნანა ყუფუნიამ მიმართა დაწესებულების დირექტორს თავისი პოზიციის დასაფიქსირებლად. ქალბატონმა ნინო ბაკურაძემ, აღნიშნა, რომ მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია მოცემულ პროგრამაში მომხდარიყო ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირები, რადგან ძალიან დიდი მოთხოვნა იყო მოცემულ პროგრამასთან დაკავშირებით 9 კლას დამთავრებული მოსწავლეებისგან, რომელთაც სურდათ სწავლის გაგრძელება კოლეჯში.
ქალბატონმა რუსუდან გიგაშვილმა იკითხა რა ტიპის ლაბორატორიულ მომსახურებას სწავლობენ ბავშვები, რაზეც დაწესებულების დირექტორმა უპასუხა, რომ აქ არის როგორც ქიმიური, ასევე მიკრობიოლოგიური ლაბორატორია, კეთდება თევზის სინჯები, ისინჯება ასევე, წყალი, ჰაერი, სრულყოფილი ლაბორატორიაა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ კოლეჯ „ფაზისისთვის“ „ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.
საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: სსიპ - კოლეჯ „ფაზისს“ (ს/კ: 215101716) მიენიჭოს უფლება განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი 12).**

14. სსიპ კოლეჯ „ფაზისისთვის“ „ფერმერი მემცენარის“ (ხობის მუნიციპალიტეტი,სოფ. ნოჯიხევი) საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.
საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ბატონმა ლევან მადათოვმა და ქალბატონმა თამარ ზარანდიამ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ფერმერი მემცენარე“ ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 2 აგვისტოს MES 1 20 0000653479 გადაწყვეტილებით ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ნოჯიხევში. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. დაწესებულების განაცხადით ხდება პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში დირექტორის 2021 წლის 25 მარტის N01/22 ბრძანებით, განხორციელდა ცვლილება და დამტკიცდა მოდიფიცირებული სახით, ინტეგრირებულ მოდულებთან ერთად.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ფერმერი მემცენარე” მიზნებისათვის A გარემოსთვის გათვალისწინებულია ერთი საერთო სივრცე თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის - 50 კვ.მ ფართი, სადაც განთავსებულია მერხი და სკამი 20 პროფესიული სტუდენტისათვის.ორი ცვლის გათვალისწინებით შესაძლებელია 40 სტუდენტის მომსახურება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადში მითითებული იყო რომ ქიმიის, ფიზიკის ბიოლოგიის და გეოგრაფიის აღჭურვილობა შესყიდვის პროცესში იყო. წარმოდგენილი იყო შესაბამისობის გეგმა და შესყიდვის ხელშეკრულება. დისტანციური დათვალიერების პერიოდისათვის (2021 წლის 22 აპრილი) აღჭურვილობა ადგილზეა, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით და ონლაინ დათვალიერებით. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
ინტეგრირებული მოდულებისათვის დაწესებულებას შერჩეული ყავს 7 პროფესიული განათლების მასწავლებელი.
ვიზიტის დროს ხარვეზები და რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.
  დაწესებულებას სტანდარტი შეფასებული ჰქონდა სრული შესაბამისობით, რასაც ასევე, დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი, მან აღნიშნა, რომ კოლეჯს აქვს შესანიშნავი ბაზა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ კოლეჯ „ფაზისისთვის“ „ფერმერი მემცენარის“ (ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნოჯიხევი) საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: სსიპ - კოლეჯ „ფაზისს“ მიენიჭოს უფლება განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ფერმერი მემცენარის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი 13).**

15. სსიპ - კოლეჯ ,,ფაზისის" ,,სასტუმრო მომსახურების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.
საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ქალბატონმა თამარ ნასყიდაშვილმა, ხოლო დარგის ექსპერტი - ნინო მოწყობილი ვერ დაესწრო საბჭოს სხდომას მამის გარდაცვალების გამო.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე წარმოგიდგენს სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „ფაზისში“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით ექსპერტთა ჯგუფის

მიერ განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების “ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასებას.
სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის *05/04/2021 №325561* ბრძანების საფუძველზე, *2021* წლის *21* აპრილს , ქალაქ ფოთში, სსიპ კოლეჯში „ფაზის ი“, დისტანციურ რეჟიმში განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი „სასტუმრო მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ .
ქალბატონმა თამარ ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით:
A-გარემო-15 პროფესიულ სტუდენტზე
B-გარემო-25 პროფესიულ სტუდენტზე
C-გარემო-სიმულაციური ოთახი
ვიზიტის პირობებში დადგინდა შესაბამისობა პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსების ვირტუალურად დათვალიერებულ ფაქტობრივ გარემოებებთან. მოდულების განმახორციელებლების- პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განვითარების მდგრადობას.
“სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო მოდულური პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრულია 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი,აქედან 5-პროფესიული მოდულების განმახორციელებელი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“ უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსით და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
დაწესებულებას „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილი აქვს პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა - 30 პროფესიული სტუდენტი. ამჯერად ქვოტის გაზრდის ფარგლებში გეგმავს 15 პროფესიული სტუდენტის დამატებას მოდულური მიდგომით(15 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებული სასწავლო გეგმით 2020 წლის შემოდგომის მიღებით ჩართულია სასწავლო პროცესში).
დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ მოცემული პროგრამის კურსდამთავრებულები საქმდებიან სხვადასხვა სასტუმროებში, მაგ. ბოლო პერიოდში პარაგრაფმა დაასაქმა მათი 7 კურსდამთავრებული.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯ „ფაზისის“ „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ.
საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებელების წარმომადგენელი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: სსიპ - კოლეჯ „ფაზისს“ (ს/კ: 215101716) დანართით განსაზღვრულ „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 30-ით **(დანართი 14).**

ბატონი სერგო ნოზაძე შემოუერთდა სხდომას 17:15 საათზე.

16. სსიპ - კოლეჯ „ფაზისისთვის“ „აგრომექანიზაციის“ (ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნოჯიხევი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.
საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ქალბატონმა თამარ ნასყიდაშვილმა და ბატონმა ნიკოლოზ კიკნაველიძემ. ექსპერტების ჯგუფს დაევალა სსიპ კოლეჯი „ფაზისის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „აგრომექანიზაცია“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება, დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების გზით.
ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა სსიპ კოლეჯი „ფაზისის“ მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩამოაყალიბა დამაზუსტებელი შეკითხვები ღიად დარჩენილი საკითხებისთვის, შეაჯერა განხილული საკითხები და შეიმუშავა დისტანციურ რეჟიმში წარსამართი გასაუბრების განრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა კოლეჯის ადმინისტრაციასთან.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას სურს დაიმატოს „აგრომექანიზაციის“ მეოთხე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე სურს 30 პროფესიული სტუდენტის მიღება, ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ნოჯიხევში, რაზეც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი. პროგრამის განხორციელება იგეგმება მოდულური მიდგომით.
დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა კოლეჯის წარმომადგენლობასთან ონლაინ შეხვედრები და გასაუბრებები, მათ შორის ხარისხის მართვის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან, უსაფრთხოების მენეჯერთან, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან, ბიბლიოთეკართან. ონლაინ ფორმატში დათვალიერდა კოლეჯის ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სასწავლო გარემო, პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულების მფლობელობაში არსებული აღჭურვილობა, პრაქტიკის ობიექტი, ბიბლიოთეკა, ინტეგრირებული ზოგადი მოდულებისთვის განკუთვნილი ლაბორატორია.
რამდენადაც კოლეჯი უკვე ახორციელებს სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ინტეგრირებულ სწავლებას და აქვს როგორც გამოცდილება, ისე შესაბამისი რესურსი

ინტეგრირებული სწავლების განხორციელებისთვის, აღნიშნული პროგრამის ფარგლებშიც დაგეგმილი აქვს 15 პროფესიულ სტუდენტზე ინტეგრირებული სწავლების განხორციელება, რაც სტუდენტს საშუალებას მიცსემს პროფესიის შესწავლის და დაუფლების პარალელურად, მი იღოს სრული ზოგადი განათლება ინტეგრირებული სასწავლო მოდულებით გათვალისწინებული ცოდნის და უნარების შეძენა. საგანმანათლებლო დაწესებულებაში უშუალოდ ვიზიტის განხორცი-ელებამდე ექსპერტების ჯგუფის მიერ განხილული და შესწავლილი იქნა კოლეჯის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტური მასალები.
დაწესებულებას პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული აქვს მემორანდუმები. თითეულ პრაქტიკის ობიექტს აქვს შესაძლებლობა განახორციელოს სრული შესაძლებლობით სტუდენტების პრაქტიკაზე დაშვება მოთხოვნილი კონტიგენტის ფარგლებში პრაქტიკის განხორციელების მიზნით, კერძოდ „ი/მ ავთანდილ ალასანია“-15 პროფესიული სტუდენტი,“ი/მ სერგო ბერაია“-20 სტუდენტი; შპს „ანდრიანი“-15 პროფესიული სტუდენტი; შპს „არტფაზისი“-15 პ/სტუდენტი; შპს „შამათია“-20 პ/სტუდენტი; შპს „ხარება“-20 პროფესიული სტუდენტი.
მიუხედავად ონლაინ ფორმატის თანმდევი ტექნიკური ხარვეზებისა, ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და საქმიან ვითარებაში ორივე მხარის წარმომადგენლების ერთობლივი ძალისხმევით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის რეალურ გარემოებებთან შესაბამისობის შედეგების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -„აგრომექანიზაცია“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან სრულ შესაბამისობაშია.
დარგის ექსპერტმა ისაუბრა იმ აღჭურვილობაზე, რაც დაწესებულებას აქვს სასწავლო ბაზაზე. მან აღნიშნა, რომ ჰქონდათ გასაუბრება პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან, რომლებიც გამოთქვამენ მზაობას პროგრამის განხორციელების მიზნით.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯ „ფაზისისთვის“ „აგრომექანიზაციის“ (ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნოჯიხევი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: სსიპ - კოლეჯ „ფაზისს“ (ს/კ: 215101716) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „აგრომექანიზაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი 15).**

ქალბატონმა ნატალია კვაჭანტირაძემ დატოვა სხდომა 18:56 საათზე.

17. სსიპ - კოლეჯ „ერქვანისთვის“ „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

18. სსიპ - კოლეჯ „ერქვანისთვის“ „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ბატონმა ტიტე ბოლქვაძემ და ბატონმა გივი დოლიძემ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ იკითხა თუ იყო შესაძლებელი „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ და „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხების ერთად წარმოდგენა, რადგან, მოცემულ ორ პროგრამაზე იყო ერთი და იგივე ექსპერტთა ჯგუფი და ხარვეზები და რეკომენდაციებიც ერთი და იგივე დაფიქსირდა. საბჭოს თავმჯდომარე დაეთანხმა ერთად წარედგინა მოცემული საკითხები.

სსიპ - კოლეჯი „ერქვანის“ მიერ წარდგენილი განაცხადის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2021 წლის 8 აპრილს გამოცემული #338818 და #338808 ბრძანებების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფებს დაევალა სსიპ კოლეჯი ერქვანის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - “თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ და „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება, დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების გზით.

ზემოაღნიშნული შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის II თავის, მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მიერ.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ მიერ წარმოდგენილი სრული დოკუმენტაცია, შეაჯერა განხილული საკითხები და ასევე შეიმუშავა დისტანციურ რეჟიმში წარმართვისთვის შეხვედრის განრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან.

შეხვედრის განრიგის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენელებს შორის დისტანციური კომუნიკაცია, თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შედგა 2021 წლის 26 აპრილს. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენელებს, მათ შორის დირექტორს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, ბიბლიოთეკარს და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებს. ასევე, ინტერვიუ შედგა პროგრამის ხელმძღვანელსა და პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებელ ზოგიერთ პროფესიული განათლების მასწავლებელთან. დაწესებულების წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს კოლეჯის შენობაში და სახელოსნოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ფართის ჩვენება და ბიბლიოთეკის დათვალიერება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას სურს დაიმატოს “თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ და „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ მესამე

დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე სურს 15 პროფესიული სტუდენტის მიღება. პროგრამის განხორციელება იგეგმება მოდულური მიდგომით.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, რომელიც ეყრდნობა პროგრამის სპეციფიკას და დაწესებულების რესურსებს.
პროგრამის განხორციელებისათვის გამოიყენება A, B და C სასწავლო გარემო. მოდულების განხორციელებისათვის დაწესებულებას მოწყობილი აქვს:
A/B სასწავლო გარემო აუდიტორია #22, მისამართზე ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. #10, 15 პროფესიულ სტუდენტზე, რომელიც ამ პროგრამის მიზნებისთვის არის გამოყოფილი.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის - „იატაკისა და ფილის სამუშაოები" გამოყოფილია A/B სასწავლო გარემო, აუდიტორია #11, მისამართზე ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. #10, 15 პროფესიულ სტუდენტზე.
C სასწავლო გარემოსთვის გამოყოფილია სივრცე (სასწავლო სახელოსნო) მისამართზე ქ. ამბროლაური, გურგენიძის ქ. #10, 15 პროფესიულ სტუდენტისთვის (თითოეულ პროგრამაზე), რომელიც მშენებლობის პროცესშია.
სასწავლო გარემოს თემატიკის შესაბამისი აღჭურვილობის შეძენა მიმდინარეობს. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროფესიული პროგრამების „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ და „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც:

- კოლეჯმა 2021 წლის 15 სექტემბრამდე თითოეული პროგრამისთვის უნდა შეიძინოს A/B გარემოსთვის განკუთვნილი აღჭურვილობა, კერძოდ: პორტატული კომპიუტერი (ლეპტოპი) – 15ცალი; კომბაინი - 1 ცალი; პროექტორი - 1 ცალი; აუდიო მოწყობილობა (დინამიკები) – 1 ცალი.
- კოლეჯმა 2021 წლის 10 მაისამდე უნდა ააშენოს თანამედროვე ტიპის სასწავლო სახელოსნო 61 და 70,17 მეტრ/კვადრატი;
- კოლეჯმა 2021 წლის 15 სექტემბრამდე უნდა შეიძინოს C გარემოსთვის (სახელოსნო) განკუთვნილი პროგრამებით გათვალისწინებული რესურსი.

ექსპერტმა ისაუბრა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებზე, რომლებიც გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.
ხარვეზები არ დაფიქსირებულა.
ორივე პროგრამის შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა შესაბამისობის რეკომენდაციები:
1. 2.2.1.1 - დაწესებულებამ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად მოახდინოს პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსის შეძენა და C გარემოსთვის განკუთვნილი სახელოსნოს მშენებლობის და აღჭურვის დასრულება.
2. 2.4.1.6 – იმის გამო, რომ აღნიშნული პროგრამა მოითხოვს დამატებით უსაფრთხოების ზომებს, დაწესებულებამ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად, მოახდინოს პროგრამით გათვალისწინებული C გარემოსთვის განკუთვნილ ასაშენებელ სახელოსნოში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების და მაფრთხილებელი ნიშნების განთავსება.
პედაგოგებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ პედაგოგებს აქვთ შესაბამის დარგში მუშაობის გამოცდილება, თუმცა არ აქვთ მოდულური პროგრამების სწავლების გამოცდილება. მათ დაწესებულების მხრიდან ჩაუტარდათ ტრენინგი მოდულურ სწავლებასთან დაკავშირებით.

განმავითარებელი რეკომენდაციები:

1. 2.2.1.3/4 - დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პედაგოგებისთვის ტრენინგების ჩატარება მოდულების შეფასების ინსტრუმენტებთან დაკავშირებით.
2. 2.2.1.7 - დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობაში მოიყვანონ დოკუმენტი - რენტაბელობის ზღვარი რეალურ მდგომარეობასთან.
3. 2.4.1.6 - იმის გამო, რომ აღნიშნული პროგრამა მოითხოვს დამატებით უსაფრთხოების მოთხოვნებს, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განმახორციელებელ პედაგოგებს სწავლების დაწყებამდე ჩაუტარდეთ ტრენინგი დარგის სპეციფიკის შესაბამისი შრომის უსაფრთხიების შესახებ და C გარემოში (სახელოსნო) შესვლამდე განსახორციელებელი უსაფრთხოების ნორმების შესახებ.
პრეზენტაციის დასრულების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების დირექტორს დაეფიქსირებინა დაწესებულების პოზიცია. ბატონმა ფრიდონ ბუაძემ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს სახელოსნოების მშენებლობა, დასრულებულია გარე ფასადის მშენებლობა, დარჩენილია მხოლოდ შიდა იატაკის მშენებლობა. დაწესებულებამ წარმოადგინა ფოტოსურათები სახელოსნოების მშენებლობის მდგომარეობის უკეთ აღსაქმელად. რაც შეეხება B და C გარემოს აღწურვილობას, ტენდერები უკვე გამოცხადებულია. გამოვლენილია გამარჯვებულები, ტენდერის ერთმა მონაწილემ უკვე შემოიტანა აღჭურვილობის ნაწილი, დანარჩენი აღჭურვილობა შესყიდული იქნება გაუმჯობესების გეგმის შესაბამისად. რაც შეეხება რეკომენდაციებს, ნაწილი რეკომენდაციებისა უკვე გამოსწორებულია. გასწორებულია პროგრამის რენტაბელობის ზღვარი, რაც ტექნიკური სახის შეცდომა იყო.
პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტებინა კოლეჯის ხელმძღვანელობას, რა ვადებში დასრულდებოდა C გარემოს მშენებლობა და აღჭურვილობის სრულად უზრუნველყოფა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მშენებლობის და შესყიდვების პროცესი მიმდინარეობს, და ითხოვეს, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს 2021 წლის 11 ოქტომბრიდან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯ „ერქვანისთვის“ „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ.
საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: სსიპ - კოლეჯ „ერქვანს“ (ს/კ:222934671) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 16).**
საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტებზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტი: 2.2. და 2.4. მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 11 ოქტომბრიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯ „ერქვანისთვის“ „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ.
საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: სსიპ - კოლეჯ „ერქვანს“ (ს/კ:222934671) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 17).**
საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტებზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტი: 2.2. და 2.4. მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 11 ოქტომბრიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

დეა აბულაძემ დატოვა სხდომა 19:48 საათზე.

19. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ,,გეორგიასთვის" ,,საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.
საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ქალბატონმა დიანა გხარიამ და ბატონმა ირაკლი სალუქვაძემ. ექსპერტების ჯგუფს დაევალა შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „გეორგია“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება, დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების გზით.
ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „გეორგია“ მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩამოაყალიბა დამაზუსტებელი შეკითხვები ღიად დარჩენილი საკითხებისთვის, შეაჯერა განხილული საკითხები და შეიმუშავა დისტანციურ რეჟიმში წარსამართი გასაუბრების განრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა კოლეჯის ადმინისტრაციასთან.
შეხვედრის განრიგის თანახმად, ექსპერტების ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენელებს შორის დისტანციური კომუნიკაცია, თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, შედგა 2021 წლის 16 აპრილს. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების 6 წარმომადგენელს: დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო განყოფილების

მენეჯერი, პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები“ მიმართულების ხელმძღვანელი, ბიბლიოთეკარი, ასევე შედგა პროფესიული მოდულების და ზოგადი მოდულების განმახორციელებლების ინტერვიუირება. ეწსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას სურს დაიმატოს „საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები“ მესამე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე სურს 25 პროფესიული სტუდენტის მიღება. რაზეც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი. პროგრამის განხორციელება იგეგმება მოდულური მიდგომით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის “საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები” განხორციელება სრულად დაგეგმილია კოლეჯის ბაზაზე, პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი დაწესებულების მფლობელობაშია, რაც დასტურდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებით.
პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის მოწყობილია სამი აუდიტორია შესაბამისი აღჭურვილობით:
A ტიპის გარემო - პროფესიული სტუდენტის 15 სამუშაო ადგილით;
B ტიპის გარემო - პროფესიული სტუდენტის 10 სამუშაო ადგილით;
B/C ტიპის გარემო - პროფესიული სტუდენტის 15 სამუშაო ადგილით.
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის “საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები” დარგობრივ მოდულებზე განსაზღვრულია 2 განმახორციელებელი, ზოგად მოდულებზე - 7 პირი, თითოეულ მოდულზე ერთი განმახორციელებელი, უცხოური (ინგლისური) ენის მოდულის შემთხვევაში კი - 2. მოცემული პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო გეგმის მიხედვით, განმახორციელებლების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საკონტაქტო საათს.
თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამის მიზნებისთვის არ არის გათვალისწინებული პრაქტიკის ობიექტის არსებობა, თუმცა ვიზისტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა განმართეს, რომ ისინი მაინც ფიქრობენ ზოგიერთი მოდულის ფარგლებში გასვლითი სწავლება მოაწყონ სტუდენტებისთვის.
დარგის ექსპერტი დაეთანხმა თავმჯდომარის მიერ წარდგენილ პოზიციას და აღნიშნა, რომ დარგის კუთხით დამატებით გამოითხოვეს ინფორმაცია აღჭურვილობების შეყიდვისა და ფლობის დოკუმენტაციის შესახებ, რომელიც სრულად აკმაყოფილებდა პროგრამით გათვალისწინებულ აღჭურვილობას. ასევე, ისაუბრა, განმახორციელებლებთან ინერვიუს შედეგებზე და აღნიშნა, რომ მათ დარგობრივ კომპეტენციაში ეჭვი არ ეპარება, მათ აქვთ მოდულური სწავლების გამოცდილება.
გასაუბრებისას გამოიკვეთა ზოგიერთი მტკიცებულების წარმოდგენის აუცილებლობა, შესაბამისად გასაუბრების ეტაპზე დაწესებულებამ, ცენტრის საშულებით, მიაწოდა ექსპერტებს გარკვეული დოკუმენტები.
ქალბატონმა დიანა გახარიამ ისაუბრა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებზე, რომლებიც გათვალისწინებულია.

ხარვეზები არ დაფიქსირებულა, ექსპერტთა ჯგუფმა წარმოადგინა განმავითარებელი რეკომენდაციები:

მე-2 სტანდარტი, ინდიკატორი 2.1.1 - 1
დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია განიხილოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნებისთვის პროგრამის განხორცილების მიზანშეწონილობის დოკუმენტში მეორადი კვლევებით მიღებული/დამუშავებული ინფორმაცია/სტატისტიკური მონაცემების გამოყენება პროგრამების განხორცილების მიზანშეწონილობის დასასაბუთებლად.
მე-2 სტანდარტი, ინდიკატორი 2.1.1 – 8

ექსპერტების შეფასებით, რეკომენდებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებისთვის იმგვარი მექანიზმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკური ხასიათის შეცდომების პრევენციას და კოლეჯში დამტკიცებული რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობას.

მე-2 სტანდარტი, ინდიკატორი 2.4.1 – 4

„პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებული რეგულაციებით" განსაზღვრულ შიდა და გარე მობილობასთან და პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საკითხებთან დაკავშირებით, ექსპერტების მიერ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გასწორდეს შესაბამისი ჩანაწერი, რათა მკაფიოდ ჩანდეს გარე მობილობის სხვა პროფესიული განათლების მიმწოდებელი დაწესებულების პროფესიულ სტუდენტზე გავრცელება და პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლები თანხვედრაში იქნას მოყვანილი შესაბამისი პუნქტის მოთხოვნებთან (დეტალურად იხ. ინდიკატორის აღწერითი მიმოხილვისა და ანალიზის ნაწილში).

მე-2 სტანდარტი, ინდიკატორი 2.4.1 – 5 დაინდიკატორი 2.4.2 – 1-2

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესწავლაზე დაყრდნობით, ექსპერტების შეფასებით:

- მნიშვნელოვანია განისაზღვროს დამატებითი შეფასებისთვის საჭირო შეფასების ინსტრუმენტისადმი წაყენებული მოთხოვნები;
- სასურველია აპელაციის მექანიზმში იკვეთებოდეს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა როგორც პროცედურულ, ასევე შინაარსობრივ საკითხებთან დაკავშირებით;
- უმჯობესია ვადების განსაზღვრის ნაწილში მითითებულ იქნას იგულისხმება კალენდარული თუ სამუშაო დღეები (ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევაში სახელდება);
- საჭიროა სტუდენტისთვის დაწესებულების მიერ მინიჭებული არჩევანის უფლების დეკლარირებას მიეცეს სათანდო ფორმულირება (განსხვავებით ჩანაწერისა *„იგივალდებულიათ ავიდანგაიაროსაღნიშნულიმოდული"*, როდესაც რეგულაცია ითვალისწინებს ალტერნატივას).

მე-2 სტანდარტი, ინდიკატორი 2.2.1 – 4

„შინაგანაწესში" მოცემული მიმართულების ხელმძღვანელის ფუნქციების შესწავლის შედეგად, ექსპერტების მიერ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, მიმართულების ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობების ჩამონათვალში გამოირიცხოს ერთდროულად ვერიფიკაციისა და ვალიდაციის პროცესში ჩართულობა ან ჩანაწერი გახდეს მკაფიო რიგ შემთხვევებში, ერთ-ერთ პროცესში მისი მონაწილეობის შეუძლებლობის შესახებ.

1-ლისტანდარტი, ინდიკატორი 1.2.1 - 3

დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია განიხილოს სტრატეგიული განვითარების გეგმის შემადგენელი ნაწილები/ველები სტანდარტით გათვალისწინებულ ტერმინებთან მიმართებაში (რეკომენდებულია „მიმართულება" ჩამოყალიბდეს როგორც „მიზანი", ხოლო „მიზანი" როგორც „ამოცანა").

მე-4 სტანდარტი, ინდიკატორი 4.1.1 - 3

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების ეტაპზე გამოკვეთილი გარემოებებიდან გამომდინარე - ხარისხის მართვის მენეჯერის ჩართულობა პროგრამის შემუშავების ეტაპზე - დაწესებულებას ექსპერტების მიერ მიეცა რეკომენდაცია შემუშავებული რეგულაციების და განაწილებული ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად, სრულად გამორიცხოს ინტერესთა კონფლიქტის შემცველი მიდგომების შენარჩუნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ეტაპზე ხარისხის მართვის მენეჯერის ჩართულობასთან დაკავშირებით.

რეგულაციების შემუშავების/გადამუშავების ზოგადი რეკომენდაციები:

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების", „შინაგანაწესის", „პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებული რეგულაციების" შესწავლაზე დაყრდნობით, ექსპერტების

შეფასებით, საჭიროა დაწესებულებამ მოახდინოს რეგულაციების იმგვარი გადახედვა/გადამუშავება, რათა უზრუნველყოფილი იქნას:
- დოკუმენტის მკაფიო სტრუქტურით პროცესების იდენტიფიცირება, მათი სრულყოფილი, თანმიმდევრული აღწერა, ვიდრე განსახორციელებელი აქტივობების ჩამოთვლა (მაგ. პროგრამის შეფასების მექანიზმები);
- პროცესებში აქტივობების ქრონოლოგიის დაცვა, ვიდრე უკუთანმიმდევრობა ან ფრაგმენტულობა (მაგ. პროგრამაში ცვლილების შეტანა, შემდგომ შემუშავება, კრედიტის მინიჭება შემდეგ პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება, განმსაზღვრელი შეფასების დამატებითი შეფასების პირობები, შემდეგ შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების წესი);
- დოკუმენტის თავებად/მუხლებად/პუნქტებად დაყოფა სრულყოფილად და შესაბამისი დასათაურება (მაგ. მე-3 მუხლი მოიცავს ნაწილებს და მეორდება პუნქტების ნომრები).
- საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებისას პუნქტების ზედმიწევნით გადმოტანის თავიდან აცილება;
- პროგრამის ადაპტირების ინსტრუქციებისა და დამტკიცებული პროგრამის შესაბამისობა („პრაქტიკული მოდულები ითვალისწინებენ სტუდენტის დატვირთვას პრაქტიკის ობიექტზე, რეალურ სამუშაო გარემოში. ამისათვის კოლეჯს გააჩნია პრაქტიკის ობიექტთან დადებული ხელშეკრულება (კონტრაქტი)“, მაშინ როდესაც მოცემული პროგრამა არ მოიცავს პარტნიორთან თანამშრომლობას).

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგიასთვის“ „საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ.
საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებელების წარმომადგენელი აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევა 2021 წლის 10 ივნისიდან.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგიას“ (ს/კ:204859634) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 18).**

20. სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ „საექთნო საქმის“ (ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვ. ალვანი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

21. სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ „საექთნო საქმის“ (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. სამრეკლო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვ ა.

22. სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ „საექთნო საქმის“ (გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. კაჭრეთი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს ერთად წარმოედგინა ზემოთ აღნიშნული სამი საკითხი.
სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ქალბატონმა მანანა მოისწრაფიშვილმა და ბატონმა იაზონ დანელიამ.
საკითხი წარადგინეს ქალბატონ ნინო ხაჩიძემ და ია გელენიძემ.
2021 წლის 2 მარტს კოლეჯის მიერ ცენტრში წარდგენილ იქნა განაცხადები საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ. ცენტრის დირექტორის 2021 წლის22 მარტისN267820, N267821და N267824ბრძანებებით შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი. დაწესებულებიდანდამატებითგამოთხოვილიქნასტანდარტების შესაფასებლად საჭირო დოკუმენტები. გასაუბრებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეადგინა გასაუბრების განრიგი. 17 აპრილს განხორციელდა შეხვედრა და გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების Zoom-ის გამოყენებით.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება.
დაწესებულება ითხოვს საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას შემდეგ მისამართებზე:

- გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი;
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამრეკლო;
- ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ალვანი.

ჯგუფის ხელმძღვანელმა წარმოადგინა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა. გარკვეული რეკომანდაციები გათვალსწინებული იყო, თუმცა ერთ-ერთი რეკომენდაცია არ იყო შესრულებული.
2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში მითითებულია ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N120/ნ ბრძანებით, უნდა გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და შეიცვალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ“. დაწესებულების განმარტებით, არსებული ტექნიკური ხარვეზი გასწორებულია, თუმცა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ ორ ადგილას ვხვდებით 120/ნ ბრძანებასთან დაკავშირებით ჩანაწერს. მაგალითად, ერთი ასეთი ჩანაწერია მარეგულირებელ დოკუმენტში: „კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად გადავიდეს ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით გათვალისწინებულ იმ პროფესიულ სპეციალიზაციაზე სწავლის გაგრძელების მიზნით, რომელზეც ჩაირიცხა და სწავლობდა იგი მობილობის განხორციელებამდე;“

- რეგულაციების შესწავლის საფუძველზე გამოკვეთილი გარემოებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია დაწესებულების მხრიდან შემუშავდეს იმგვარი მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს ტექნიკური ხასიათის უზუსტობების არსებობას და უზრუნველყოფს საკანონმდებლო ცვლილებებთან დაწესებულების შიდა აქტებისა და პროცესების შესაბამისობის დროულ უზრუნველყოფას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო საქმე“ სამივე ლოკაციაზე შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება“.
გამოვლინდა შემდეგი **ხარვეზები:**

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი, სრულად არ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ:

- მოდული „საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები“ მოიცავს საექთნო მენეჯმენტის ძირითადი პრინციპების განმარტებას (მენეჯმენტის ძირითადი ამოცანები; მენეჯმენტის პროცესი; ლიდერობა, სწორი მენეჯმენტი) და ორგანიზაციული ქცევისა და ადამიანური რესურსის მენეჯმენტის პრინციპების აღწერას (ორგანიგრამის გეგმა და ინფორმაციის გავრცელების გზები; ადამიანური რესურსის მენეჯმენტი). მოდულით გათვალისწინებულია მხოლოდ საექთნო საქმისა და შინაგან სნეულებებთან დაკავშირებული სასწავლო რესურსები. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მოდულში „საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები“ მითითებული სასწავლო რესურსი არასაკმარისია და უკვე მუშაობენ სასწავლო რესურსების დამატებაზე.
- მოდული „უცხოური ენა -საექთნო საქმეში“ ერთ-ერთ სწავლის შედეგად ითვალისწინებს პროფესიასთან დაკავშირებული საკითხების პრაქტიკულ გამოყენებას, ხოლო სასწავლო რესურსად გაწერილია მხოლოდ ზოგადი ინგლისურის წიგნები. უცხოური ენის მოდულის განმახორციელებლის განმარტებით, სასწავლო პროცესში დამატებით გამოიყენებს ინტერნეტში მოძიებულ სხვადასხვა მასალას პროფესიული ტერმინოლოგიის სწავლების მიზნებისთვის. დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა პროფესიული ტერმინოლოგიის შესწავლისთვის ელექტრონული სასწავლო რესურსები, თუმცა აღნიშნული რესურსები მოდულში მითითებული არ აქვთ. შესაბამისად, დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია გავლენას ვერ ახდენს ინდიკატორის შეფასებაზე.
- მოდული „კომუნიკაცია საექთნო საქმეში“ ერთ-ერთ სწავლის შედეგად ითვალისწინებს პრეზენტაციის უნარების დემონსტრირებას, თუმცა ამ სწავლის შედეგზე გამსვლელი ქართულენოვანი რესურსი მითითებული არ აქვთ.
- მოდული „ბიოქიმია“ სასწავლო რესურსად ითვალისწინებს მხოლოდ ერთ ბმულს, რომელიც არ წარმოადგენს სასწავლო რესურსს. ინტერვიუირებით ირკვევა, რომ კოლეჯს აქვს ბიოქიმიის სახელმძღვანელოები, თუმცა ისინი მოდულში გაწერილი არაა.

შესაბამისად, მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამით საგანმანათლებლმა რესურსმა სრულად უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. შესაბამისად, მოდულებში უნდა იყოს მითითებული ყველა სწავლის შედეგზე გამსვლელი სასწავლო რესურსი. **ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, სტანდარტის ინდიკატორი და შესაბამისად, კომპონენტი, ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.**

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
3. შპს ჯეო ჰოსპიტალთან გაფორმებული ხელშეკრულებით პრაქტიკის ობიექტი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს კოლეჯის პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული სწავლებისათვის განმახორციელებელი მედ პერსონალის შერჩევა და ამასთანავე, კლინიკის მიერ საექთნო განათლების პროგრამისთვის შერჩეული განმახორციელებელი პირები უნდა შეესაბამებოდნენ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან გაფორმებული ხელშეკრულებით ირკვევა, რომ კლინიკურ სწავლებაში უნდა ჩართოს შესაბამისი კვალიფიკაციის პირები.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 4 პრაქტიკის ინსტრუქტორის პირადი საქმე. მათი შეფასებით იკვეთება, რომ ოთხივე პირს უდასტურდება განათლება და დამატებით ერთ მათგანს სერტიფიკატით საოფისე პროგრამების ფლობა. სხვა დოკუმენტები, რომლითაც დადასტურდებოდა ექთნის მიმართ წაყენებული სხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არ იყო. დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა სამუშაო გამოცდილების შესახებ ცნობები. სხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი არაა. შესაბამისად, კლინიკურ სწავლებაში ჩართულ პირებს სრულად არ უდასტურდებათ საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტითა და პარტნიორ დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღრული საკვალიფიკაციო მოთხონები.
ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან გაფორმებული ხელშეკრულებით ირკვევა, რომ კოლეჯის მიერ დაკონტრაქტებული მედ პერსონალი ვალდებულია კლინიკის ბაზაზე მომსახურება გაწიოს პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებულ ვადებში, თუმცა დაწესებულების წარმოამდგენლებთან ინტერვიუირებით ირკვევა, რომ პრაქტიკის ინსტრუქტორებთან არ ხორციელდება ხელშეკრულებების გაფორმება.
შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი და შესაბამისად, კომპონენტი, ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამრეკლო
3. შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს კოლეჯის პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული სწავლებისათვის განმახორციელებელი მედ პერსონალის შერჩევა. კლინიკის მიერ საექთნო განათლების პროგრამისთვის შერჩეული განმახორციელებელი პირები უნდა შეესაბამებოდნენ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ კოლეჯის 7 პროფესიულ სტუდენტზე დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ერთი პროგრამის განმახორციელებელი პირი/ექთანი. შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრ“-თან გაფორმებული ხელშეკრულებით ირკვევა, რომ კლინიკურ სწავლებაში უნდა ჩართოს შესაბამისი კვალიფიკაციის 2 პირი.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 4 პრაქტიკის ინსტრუქტორის პირადი საქმე, რომლითაც დასტურდება მათი განათლება. ერთ პირს დამატებით უდასტურდებოდა სამუშაო გამოცდილება. სხვა დოკუმენტები, რომლითაც დადასტურდებოდა ექთნის მიმართ წაყენებული სხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არ იყო. დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა სამუშაო გამოცდილების შესახებ ცნობები. მიუხედავად ამისა, კლინიკურ სწავლებაში ჩართულ პირებს სრულად არ უდასტურდებათ საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტითა და პარტნიორ დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღრული საკვალიფიკაციო მოთხონები.
შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრ“-თან გაფორმებული ხელშეკრულებით ირკვევა, რომ კოლეჯის მიერ დაკონტრაქტებული მედ პერსონალი ვალდებულია კლინიკის ბაზაზე მომსახურება გაწიოს პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებულ ვადებში, თუმცა

დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით ირკვევა, რომ პრაქტიკის ინსტრუქტორებთან არ ხორციელდება ხელშეკრულებების გაფორმება.
შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი და შესაბამისად, კომპონენტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ალვანი.
3. შპს „ავთანდილ ყამბარაშვილის კლინიკა“ იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს კოლეჯის პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული სწავლებისათვის განმახორციელებელი მედ პერსონალის შერჩევა. კლინიკის მიერ საექთნო განათლების პროგრამისთვის შერჩეული განმახორციელებელი პირები უნდა შეესაბამებოდნენ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ კოლეჯის 7 პროფესიულ სტუდენტზე დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ერთი პროგრამის განმახორციელებელი პირი/ექთანი. ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან გაფორმებული ხელშეკრულებით ირკვევა, რომ კლინიკურ სწავლებაში უნდა ჩართოს შესაბამისი კვალიფიკაციის პირები.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 4 პრაქტიკის ინსტრუქტორის პირადი საქმე, რომლითაც დასტურდება მათი განათლება და სამუშაო გამოცდილება. სხვა დოკუმენტები, რომლითაც დადასტურდება ექთნის მიმართ წაყენებული სხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არაა. შესაბამისად, კლინიკურ სწავლებაში ჩართულ პირებს სრულად არ უდასტურდებათ საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტითა და პარტნიორ დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღრული საკვალიფიკაციო მოთხონები.
ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან გაფორმებული ხელშეკრულებით ირკვევა, რომ კოლეჯის მიერ დაკონტრაქტებული მედ პერსონალი ვალდებულია კლინიკის ბაზაზე მომსახურება გაწიოს პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებულ ვადებში, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით ირკვევა, რომ პრაქტიკის ინსტრუქტორებთან არ ხორციელდება ხელშეკრულებების გაფორმება.
შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი, და შესაბამისად, კომპონენტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

3. პროგრამის შესაბამისი მატერიალური ბაზა იძლევა იმის გარანტიას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს დარგის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. თუმცა სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და სასწავლო რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებით კითხვები ჩნდება, რადგან მოდულები სრულად არ ითვალისწინებს რელევანტურ სასწავლო რესურსებს და არც პრაქტიკის ინსტრუქტორებს უდასტურდებათ საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. შესაბამისად, **სტანდარტის ინდიკატორი, და შესაბამისად, კომპონენტი, ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.**

გაიცა განვითარების რეკომენდაციები:

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-შიდა დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
1. პროგრამით გაწერილია ხელმძღვანელის ვინაობა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ხელმძღვანელთან ხელშეკრულებაზე შეთანხმება, თუმცა რეგულაციით არ იკვეთება, თუ როგორ ხდება პროგრამის ხელმძღვანელის ან შერჩევა, ან დამტკიცება. შესაბამისად, აღნიშნული სასურველია გაიწეროს შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტში.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ეტაპები, განსაზღვრულია ის დოკუმენტები, რომლებიც უნდა დაერთოს პროგრამას. ერთ-ერთ დასართავ დოკუმენტად გაწერილია „ინტეგრირებული სასწავლო გეგმა გაწერილი უნდა იყოს არანაკლებ 3წელზე.“ აღნიშნული ვერ იქნება პროგრამის დანართი. ის შეიძლება იყოს საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, სასწავლო გეგმის შემუშავებისას გასათვალისწინებელი გარემობა. შესაბამისად, სასურველია რეგულაციაში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა.

2. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამის მოდულები მოიცავენ ინფორმაციას მოდულზე დაშვების წინაპირობების შესახებ, თუმცა არ არის გათვალისწინებული ჩარჩო დოკუმენტში განხორციელებული ბოლო ცვლილებები. კერძოდ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 11 თებერვლის N93013 ბრძანებით ცვლილება შევიდა „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2018 წლის 21 მაისის №407/ი ბრძანებაში. მოდულებზე დაშვების წინაპირობები ნაწილობრივ შეიცვალა, რომლებიც არ არის ასახული მოდულებში.
მაგალითად, ჩარჩო დოკუმენტით ფარმაკოლოგიის მოდულზე დაშვების წინაპირობაა ბიოქიმიის და მიკრობიოლოგიის მოდულები, როდესაც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოდული დაშვების წინაპირობად ითვალისწინებს შემდეგ მოდულებს: ბიოქიმია, მიკრობიოლოგია, პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია), დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში. მსგავსი შეუსაბობები არის რამდენიმე თეორიული სწავლების მოდულში. ასევე, ცენტრის დირექტორის ბრძანებით რამდენიმე კლინიკურ მოდულს დაემატა დაშვების წინაპირობად ავადმყოფის მოვლის მოდული, რომელსაც დაშვების წინაპირობად არ მოიცავს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამით გათვალისწინებული მოდულები.
მიზანშეწონილია დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამა შესაბამისობაში მოვიდეს ჩარჩო დოკუმენტის დანართი N2-ით „მოდულებზე დაშვების წინაპირობები და სარეკომენდაციო მიდგომები დისტანციური სწავლებისა და შეფასების შესაძლებლობებთან დაკავშირებით“ განსაზღვრულ წინაპირობებთან.

8. საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი:

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამა სასურველია მოიცავდეს ინფორმაციას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომრის შესახებ, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა. ასევე, სასურველია პროგრამის სტრუქტურა სრულად მიყვებოდეს ჩარჩო დოკუმენტის სტრუქტურას.
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამაში პროგრამის მიზანი ცალკე პუნქტად გამოყოფილი არაა. ის არის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შემადგენელი ნაწილი. სასურველია გასწორდეს პროგრამაში არსებული ტექნიკური უზუსტობა.
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება. გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება ვერ იქნება პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, რადგან ის ჩარიცხვის წინაპირობაა, სასურველია აღნიშნული გასწორდეს პროგრამაში და დაშვების წინაპირობად განისაზღვროს სრული ზოგადი განათლება.
- სასურველია პროგრამაში მოდულთა სტატუსები არ შეიცვალოს და ისინი ზუსტად გამომდინარეობდეს საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტიდან. მაგალითად, პროფესიული მოდულების ნაცვლად, კოლეჯის მიერ განსაზღვრულია „პროფესიული/დარგობრივი მოდულები“.

- გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ განსაზღვრა პრაქტიკული სწავლების პროფესიული მოდულების განხორციელების ადგილი, შესაძლებელია პროგრამის სტრუქტურის და მოდულების ნაწილში დაკონკრეტდეს განხორციელების ადგილი და არ დარჩეს შემდეგი ჩანაწერი: „შესაძლებელია როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასევე კლინიკაში“.
- პროგრამით განსაზღვრულია, რომ სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება ხორციელდება განმსაზღვრელი შეფასებით, თუმცა სასურველია ჩარჩო დოკუმენტის მსგავსად გათვალისწინებული იყოს, რომ სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასებით.
- პროგრამას დანართების სახით გაწერილი აქვს მოდულებზე ინფორმაცია. მატერიალურ რესურსებზე ინფორმაციას მოიცავს დაწესებულების მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადი. გამომდინარე იქიდან, რომ განაცხადი არ არის პროგრამის შემადგენელი ნაწილი, პროგრამა დანართის სახით უნდა ითვალისწინებდეს მატერიალურ რესურსზე ინფორმაციას.
- პროგრამა მოიცავს შემდეგ ჩანაწერს: „შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია -ამავე პროგრამაში მე-12 პუნქტით გათვალისწინებული წესით.“ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამაში მე-12 პუნქტად გაწერილია შემდეგი: „12. პრაქტიკის ობიექტის კრიტერიუმები“. შესაბამისად, მიზანშეწონილია პროგრამაში გასწორდეს ტექნიკური შეუსაბამობა.
- პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ ჩანაწერს: „პროფესიული სტუდენტის შეფასებებისას მოდულის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევისთვის თითოეული სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება არანაკლებ 75 %-ით.“ ზოგად მოდულებში გამსვლელ ზღვრად გათვალისწინებულია 51%. შესაბამისად, პროგრამასა და ზოგად მოდულებში არსებული ჩანაწერი, სასურველია ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს.
- მოდულების დიდ ნაწილში შეფასების მეთოდად გაწერილია წერითი მეთოდი, ხოლო მტკიცებულებად გაწერილია „ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება“, თუმცა მტკიცებულებათა დაკონკრეტებისას უთითებს ძირითადად წერილობითი ფორმით მიღებულ მტკიცებულებათა ნიმუშებს. მაგალითად შინმოვლის მოდულს შეფასების მეთოდად გაწერილი აქვს წერითი მეთოდი, ზეპირი გამოკითხვა, ხოლო მტკიცებულად გაწერილია: „ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება -წერილობითი: პროფესიული სტუდენტის მიერ წერილობით შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს და კომპეტენციას“. საექთნო მენეჯმენტის საფუძლებში შეფასების მეთოდად გაწერილია პრეზენტაცია, ხოლო მტკიცებულებად „ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება -წერილობითი: პროფესიული სტუდენტის მიერ წერილობით შესრულებული ნამუშევარი (ტესტი)“. შესაბამისად, მიზანშეწონილია შეფასების მეთოდი და მტკიცებულებები გამომდინარეობდეს ერთმანეთისგან.
- მოდულის „ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“ სტანდარტული ჩანაწერები არ მოიცავს მე-5 და მე-6 სწავლის შედეგებისთვის შეფასების მიმართულებებს, როდესაც აღნიშნული ინფორმაცია გაწერილია ჩარჩო დოკუმენტით. სასურველია გასწორდეს მოდულში არსებული ტექნიკური უზუსტობა.

- ქართული ენის მოდულებში გაწერილია, რომ როლური თამაშების სხვადასხვა ეტაპზე დაკვირვების გზით დგინდება პრაქტიკული უნარები და დასტურდება დაკვირვების ჩანაწერის მეშვეობით, თუმცა აღნიშნული არ იკვეთება შეფასების მიმართულებასა და ინსტრუმენტებში.
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამაში მოდულთა ნაწილს მითითებული აქვს განხორციელების ადგილი. შესაბამისად, სასურველია არსებობდეს ერთიანი მიდგომა, ან ყველა მოდულს მიეთითოს მოდულის განხორციელების ადგილი, ან აღნიშნული ინფორმაცია ცალკე დოკუმენტში გაიწეროს.
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 3 თებერვლის N55016 ბრძანებით ცვლილება შევიდა „ქართული ენის მოდულების დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2017 წლის 02 ნოემბრის №695 ბრძანებაში და შეეხო მოდულების განხორციელებისა და შეფასების შესაძლებლობების განსაზღვრას დისტანციურ რეჟიმში. აღნიშნულ ცვლილებებზე ინფორმაცია არ არის ასახული მოდულებში. შესაბამისად, მიზანშეწონილია გაიწეროს შესაბამისი ინფორმაცია მოდულებში.
- მოდულის „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა -გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა“ ზოგადი ინფორმაციის ნაწილში მითითებული არ არის მოდულის ცვლილების თარიღი.
- სასურველია პროგრამაში მოდულზე დაშვების წინაპირობები გასწორდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის დანართის „დანართი №2 -მოდულებზე დაშვების წინაპირობები და სარეკომენდაციო მიდგომები დისტანციური სწავლებისა და შეფასების შესაძლებლობებთან დაკავშირებით“ შესაბამისად. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია დაშვების წინაპირობები, რომლებსაც უპირატესობა ენიჭება მოდულებში არსებულ ჩანაწერებთან მიმართებით. აღნიშნულ დანართს არ ითვალისწინებს პროგრამა და არც დანართის შესაბამისად არის გაწერილი მოდულზე დაშვების წინაპირობები.
- გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის ფარგლებში გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ არის მითითებული კოლეჯის რომელი ფილიალისთვის არის დადებული ხელშეკრულება, რთულდება იდენტიფიცირება. შესაბამისად, სასურველია აღნიშნული დაზუსტდეს ან ხელშეკრულებით, ანდა პროგრამით.
- პროგრამის ძირითადი დოკუმენტისა და შესაბამისი დანართების შესწავლის საფუძველზე გამოკვეთილი გარემოებების გათვალისწინებით, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია პროგრამის ადაპტირებისა და განმტკიცების მიზნებისთვის შეიმუშაოს იმგვარი მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს ტექნიკური ხასიათის უზუსტობების არსებობას და უზრუნველყოფს სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებისა და შიდა რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობას.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი

ინდიკატორი 2. პროგრამის ხელმძღვანელი 22 პროფესიული მოდულიდან ასწავლის 16 მოდულს. ასევე, აღნიშნული პირი არის ალვანის და დედოფლისწყაროს ფილიალებში ამავე პროგრამის ხელმძღვანელი.

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია პროგრამის განმახორციელებლებს დაამატოს დარგობრივი მოდულის განმახორციელებლები, ან არსებულ მასწავლებლებს შედარებით თანაბრად გადაუნაწილოს მოდულები

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამრეკლო

ინდიკატორი 2.სასურველია დაწესებულებამ პროგრამის განხორციელებლებს დაამატოს დარგობრივი მოდულის განმახორციელებლები, რადგან პროგრამა მოიცავს 22 პროფესიულ მოდულს და დაწესებულებას ჰყავს 3 დარგობრივი განმახორციელებელი.
ინდიკატორი 3.სასურველია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული კომპონენტი ასწავლოს შესაბამისი სამედიცინო პროფილი განმახორციელებელმა.

5. პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ მოდულებში ელექტრონულ სასწავლო რესურსებს არ აქვთ მითითებული, რომ ბიბლიოთეკაში დაცულია მისი ელექტრონული ვერსია. შესაბამისად, სასურველია მოდულებში ელექტრონულ სასწავლო რესურსებს მითითებული ჰქონდეს, რომ ეს არის ელექტრონული ვერსია.

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.
1. წარმოდგენილი სასწავლო გეგმა ცალ-ცალკე მოიცავს ინფორმაციას დამოუკიდებელ საათების, შეფასების და საკონტაქტო საათების შესახებ, თუმცა საკონტაქტო საათებში დაჯამებული სახით არის წარმოდგენილი შეფასებისთვის და საკონტაქტოსთვის გათვალისწინებული საათები. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება ცალ-ცალკე წარმოადგენს საათობრივ დატვირთვას, სასურველია საკონტაქტო საათებში არ გაერთიანდეს შეფასების საათები.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ავადმყოფის მოვლის მოდული დაშვების წინაპირობად ითვალისწინებს მხოლოდ ერთ მოდულს „დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში“. სასწავლო გეგმაში აღნიშნულ მოდულზე დაშვების წინაპირობებია 7 მოდული: „ჰისტოლოგია; ანატომია-ფიზიოლოგია; ბიოქიმია; მიკრობიოლოგია; პათოლოგია; დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში; ფარმაკოლოგია“. ასევე მოდული „ინფექციის კონტროლის საფუძვლები“ დაშვების წინაპირობად ითვალისწინებს მხოლოდ ერთ მოდულს, როდესაც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოდულით გათვალისწინებულია შემდეგი მოდულები: „ჰისტოლოგია, ანატომია-ფიზიოლოგია, ბიოქიმია, მიკრობიოლოგია, პათოლოგია, დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში, ფარმაკოლოგია“. ასევე, რამდენიმე კლინიკურ მოდულს დაშვების წინაპირობები დაემატა, რაც არ არის განსაზღვრული სასწავლო გეგმით. შესაბამისად, სასურველია სასწავლო გეგმაში გასწორდეს მსგავსი შეუსაბამობები.
4. დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციით გაწერილია, თუ ვინ არის პასუხისმგებელი სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. გამომდინარე იქიდან, რომ ინდ. გეგმა არ მუშავდება მხოლოდ სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, სხვა შემთხვევებზეც სასურველია გაწერილი იყოს, თუ ვინ არის პასუხისმგებელი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაზე.

ინდიკატორი 5.
გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი

- შპს „ჯეო ჰოსპიტალს“-თან გაფორმებული ხელშეკრულება ძალაშია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების (ავტორიზაციის) მოპოვების დღიდან და მოქმედებს 57 კვირის განმავლობაში სასწავლო მოდულების დასრულებამდე.
- სასწავლო მოდულების ფარგლებში არ არის ხელშეკრულება გაფორმებული, გაფორმებულია კლინიკური მოდულების ფარგლებში. შესაბამისად, ხელშეკრულებაში ვხვდებით ტექნიკურ ხარვეზს, რომელიც სასურველია გასწორდეს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამრეკლო

- შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრ“-თან გაფორმებული ხელშეკრულება ძალაშია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების (ავტორიზაციის) მოპოვების დღიდან და მოქმედებს სასწავლო მოდულების დასრულებამდე.
- სასწავლო მოდულების ფარგლებში არ არის ხელშეკრულება გაფორმებული. გაფორმებულია კლინიკური მოდულების ფარგლებში. შესაბამისად, ვხვდებით ტექნიკურ ხარვეზს, რომელიც სასურველია გასწორდეს.

ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ალვანი

- შპს „ავთანდილ ყამბარაშვილის კლინიკა“-სთან გაფორმებული ხელშეკრულება ძალაშია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების (ავტორიზაციის) მოპოვების დღიდან და მოქმედებს სასწავლო მოდულების დასრულებამდე.
- სასწავლო მოდულების ფარგლებში არ არის ხელშეკრულება გაფორმებული. გაფორმებულია კლინიკური მოდულების ფარგლებში. შესაბამისად, ვხვდებით ტექნიკურ ხარვეზს, რომელიც სასურველია გასწორდეს.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომელშიც ბოლო ცვლილება შესულია მიმდინარე წლის 12 აპრილს დირექტორის N02-01-95 ბრძანებით, გაწერილია, რომ როცა მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება ხორციელდება მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასებების ჩატარების პრობლემა. 7 დღის ვადაში ხორციელდება განმეორებითი შეფასება. გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს განმეორებითი შეფასება, სასურველია წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის ინტერვალი დარეგულირდეს ისე, რომ ამ ვადაში შეიძლებოდეს შეფასების შედეგების გასაჩივრებაც.
დაწესებულებამ გაითვალისწინოს წინა ავტორიზაციის ვიზიტისას გაცემული რეკომენდაცია და ჩანაწერი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N120/ნ ბრძანებასთან დაკავშირებით გაასწოროს.

1. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ირკვევა, რომ “კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა/სტუდენტმა უნდა დააგროვოს ამ ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა”. აღნიშნული ასევე გაწერილია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამით.
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით არ იკვეთება საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ვალდებულება, თუმცა დაწესებულებამ არგუმენტირებული წერილით წარმოადგინა სსიპ კოლეჯის „აისი“ ისეთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რომელშიც ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულია საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ვალდებულება და სამუშაოზე დაფუძნებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც განსაზღვრულია 50% ან მეტი სწავლის შედეგების რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა შუალედური შეფასების (დუალური მიდგომის შემთხვევაში) და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 3 აგვისტოს N02-01-177 ბრძანებით.
აღნიშნული წესით ძირითადად გაწერილია დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელებისას შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების საკითხები, თუმცა

სასურველია რეგულაციით, საექთნო საქმის პროგრამისთვის უფრო მეტად იკვეთებოდეს პროცედურული საკითხები. მაგალითად: ვინ დაიშვება საკვალიფიკაციო გამოცდაზე, ვინ ადგენს საკვალიფიკაციო გამოცდის პროგრამას, ვინ შედის საკვალიფიკაციო კომისიაში და სხვა.

ზღვრული რაოდენობა

გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
დაწესებულების მიერმოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით - 28 პროფესიული სტუდენტი
გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით - 21 პროფესიული სტუდენტი გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი მოდულური

ქალბატონმა ნინო ხაჩიძემ წარმოადგინა დასაბუთება:
კლინიკური მოდულები ხორციელდება წელიწადნახევრის განმავლობაში და 14 კლინიკური მოდულიდან 12 მოდულისთვის გათვალისწინებულია 2 პრაქტიკის ინსტრუქტორი, რომლებიც სწავლებას განახორციელებენ მეორე და მესამე სასწავლო წელს შპს „ჯეო ჰოსპიტალს“-ში.
სხვადასხვა მიღების პროფესიული სტუდენტების კვეთის/გადაფარვის თავიდან აცილების მიზნით, ზღვრულ რაოდენობად შესაძლოა განსაზღვრულიყო 28 პროფესიული სტუდენტი, მხოლოდ იმ დათქმით, თუ პირველი მიღების შემდეგ (მხოლოდ 14 პროფესიული სტუდენტი), მიღება განხორციელდებოდა შემდეგი მიღების გამოტოვებით (გათვალისწინებულია მხოლოდ წელიწადში ერთხელ მიღება) და მხოლოდ პროფესიული სტუდენტების მესამე სასწავლო კურსზე გადასვლისას განხორციელდებოდა შემდეგი მიღება. ამ გარემოებასთან ერთად, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც. გამომდინარე იქიდან, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან გაფორმებული შეთანხმებით თითო მიღებაზე სტუდენტთა რაოდენობა არ გაზრდილა,
კვლავ თითო ჯერზე 14 პროფესიული სტუდენტია, ზღვრულ რაოდენობად შესაძლებელია განისაზღვროს 21 პროფესიული სტუდენტი და ყოველწლიურად პროფესიულ სტუდენტთა მისაღებ რაოდენობად -7 პროფესიული სტუდენტი. აქ გათვალისწინებულია ის ფაქტიც, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში კლინიკური სწავლება ასევე უნდა განხორციელდეს ალვანის ფილიალის პროფესიული სტუდენტებისთვის.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამრეკლო
დაწესებულების მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით - 28 პროფესიული სტუდენტი
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამრეკლო მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით - 28 პროფესიული სტუდენტიდედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამრეკლო მოდულური

ქალბატონმა ნინო ხაჩიძემ წარმოადგინა დასაბუთება:
კლინიკური მოდულები ხორციელდება წელიწადნახევრის განმავლობაში და 14 კლინიკური მოდულიდან 12 მოდულისთვის გათვალისწინებულია 2 პრაქტიკის ინსტრუქტორი, რომლებიც სწავლებას განახორციელებენ მეორე და მესამე სასწავლო წელს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრში.
სხვადასხვა მიღების პროფესიული სტუდენტების კვეთის/გადაფარვის თავიდან აცილების მიზნით, ზღვრულ რაოდენობად შესაძლებელია განისაზღვროს 28 პროფესიული სტუდენტი, მხოლოდ იმ დათქმით, თუ პირველი მიღების შემდეგ (მხოლოდ 14 პროფესიული სტუდენტი),

მიღება განხორციელდება შემდეგი მიღების გამოტოვებით (გათვალისწინებულია მხოლოდ წელიწადში ერთხელ მიღება) და მხოლოდ პროფესიული სტუდენტების მესამე სასწავლო კურსზე გადასვლისას განხორციელდება შემდეგი მიღება.

ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ალვანი
დაწესებულების მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით - 28 პროფესიული სტუდენტი ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ალვანი მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით - 21 პროფესიული სტუდენტი ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ალვანი მოდულური

ქალბატონმა ნინო ხაჩიძემ წარმოადგინა დასაბუთება:
კლინიკური მოდულები ხორციელდება წელიწადნახევრის განმავლობაში და 14 კლინიკური მოდულიდან 12 მოდულისთვის გათვალისწინებულია 2 პრაქტიკის ინსტრუქტორი, რომლებიც სწავლებას განახორციელებენ მეორე და მესამე სასწავლო წელს შპს „ავთანდილ ყამბარაშვილის კლინიკა“-ში.
სხვადასხვა მიღების პროფესიული სტუდენტების კვეთის/გადაფარვის თავიდან აცილების მიზნით, ზღვრულ რაოდენობად შესაძლოა განსაზღვრულიყო 28 პროფესიული სტუდენტი, მხოლოდ იმ დათქმით, თუ პირველი მიღების შემდეგ (მხოლოდ 14 პროფესიული სტუდენტი), მიღება განხორციელდებოდა შემდეგი მიღების გამოტოვებით (გათვალისწინებულია მხოლოდ წელიწადში ერთხელ მიღება) და მხოლოდ პროფესიული სტუდენტების მესამე სასწავლო კურსზე გადასვლისას განხორციელდებოდა შემდეგი მიღება. თუ გავითვალისწინებთ, რომ დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა 2 სარეზერვო ინსტრუქტორის პირადი საქმე (მოდულებში მითითებული არ ჰყავთ), რომლითაც დასტურდება მათი განათლება და სამუშაო გამოცდილება და მათ მივიჩნევთ პრაქტიკის ინსტრუქტორებად, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად შესაძლებელია განისაზღვროს 28 პროფესიული სტუდენტი. თუმცა ამ გარემოებასთან ერთად, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც. გამომდინარე იქიდან, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან გაფორმებული შეთანხმებით თითო მიღებაზე სტუდენტთა რაოდენობა არ გაზრდილა, კვლავ თითო ჯერზე 14 პროფესიული სტუდენტია, ზღვრულ რაოდენობად შესაძლებელია განისაზღვროს 21 პროფესიული სტუდენტი მხოლოდ იმ პირობით, თუ ყოველწლიურად პროფესიულ სტუდენტთა მისაღები რაოდენობა იქნება -7 პროფესიული სტუდენტი. აქ გათვალისწინებულია ის ფაქტიც, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში კლინიკური სწავლება ასევე უნდა განხორციელდეს კაჭრეთის ფილიალის პროფესიული სტუდენტებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ დარგის ექსპერტს სთხოვა აზრის გამოთქმა, დარგის ექსპერტმა გამოთქვა თავისი მოსაზრება მოცემულ ხარვეზებსა და რეკომენდაციებზე და დაეთანხმა თავმჯდომარეს. მან გამოყო რამდენიმე ძირითადი კომპონენტი, რომლის გამოც იქნა უარყოფითი გადაწყვეტილება მიღებული. ეს იყო არასაკმარისი ადამიანური რესურსი პრაქტიკის განხორციელების ადგილზე, შეუსაბამო კომპეტენციები, მაგალითად ქირურგიული მოდულის წაკითხვა თერაპევტის მიერ. ასევე პროგრამის ხელმძღვანელის მიერ 22 მოდულიდან 16 მოდულის განხორციელების შესაძლებლობის შეუსაბამობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა პროფესიული საგანამათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს და თხოვა მოსაზრების დაფიქსირება, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვიზიტის ფარგლებში გაიარეს ყველა საკითხი და შემდგომ მყისიერად დაიწყეს რეკომენდაციებზე მუშაობა. მისი თქმით, გათვალისწინებულია როგორც შესაბამისობის, ისე

განმავითარებელი რეკომენდაციები და ყველა დამადასტურებელი მტკიცებულება გაგზავნილია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, თუმცა აქვე დასძინა, რომ საბოლოო მტკიცებულებები გადაგზავნილი იქნა დასკვნის პროექტის წარმოდგენის შემდეგ და მიმართა საბჭოს თხოვნით, რომ გაეთვალისწინებინათ ეს გარემოებაც.

საბჭოს თავმჯომარემ წევრებს მიამრთა დამატებითი კითხვებისთვის. შორენა ჯაფარიძემ ითხოვა კიდევ ერთხელ დაეფიქსირებინათ კონკრეტულად რომელ კომპონენტებში იყო შეუსაბამობა. ასევე პრაქტიკის ობიექტების ჩამონათვალი და იკითხა რაიმე შენიშვნა ხომ არ ქონდათ კონკრეტულად პრაქტიკის ობიექტებთან. დარგის ექსპერტმა დააზუსტა შემდეგი გარემოება, სამედიცინო დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების დროს დადგინდა, რომ დარგობრივად მაღალ კომპეტენტურ კადრს წარმოდგენდნენ, თუმცა ჩარჩო დოკუმენტით გათვლისწინებულ სხვა მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდნენ.
ასევე ქრისტინა რზგოევას ჰქონდა კითხვა, კონკრეტულად დაესახელებინათ რა არ უდასტურდებოდათ „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ წარმომადგენლებს. თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ ეს იყო ინგლისური ენის და საოფისე პროგრამების ფლობის დონე, რაც გაწერილია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით.
კოლეჯის წარმომადგენლმა დააზუსტა, რომ მოთხოვნილი დოკუმენტები გადმოგზავნილია სრულად, თუმცა აქვე ექსპერტმა განაცხადა, რომ ვადების დარღვევით იყო დაზუსტებული დოკუმენტაცია გაგზავნილი, რასაც დასკვნაში ვერ გაითვალისწინებდნენ.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს გადაწყვეტილებით მოცემული საკითხების ფარგლებში გადაწყვეტილების მისაღებად კენჭისყრა გადატანილი იქნა 11 ივნისის საბჭოს სხდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, 21:15 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბოლოთაშვილი მაგდა